# საქართველო

ს' ქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:** თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფონი № 15—73. მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:** განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 15 მ. მე-4 გვერდზე—12 მ. სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—400 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:** გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში— 450 მან. ცალკე №—15 მან.

ფასი 15 მან.

წელიწადი მეექვსე. | სამშაბათი, გიორგობისთვის 2. 1920 | № 1[illegible]7.



მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

## კონიაკი

გაწმენდილი ჰურის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძისა

ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში ლაგირის (3 გზლის) ქ. № 5.


## დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო სააქციონერო ბანკის

საორგანიზაციო კომიტეტი აცხადებს, რომ კვირას 7-ს ნოებერს დილის 10 საათზე, ქ. ქუთაისში საზოგადო საკრებულო დარბაზში დანიშნულია

## აქციონერთა პირველი საზოგადო

# კ რ ე ბ ა

### კრების საგანი

1. საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება
2. განხილვა და დამტკიცება წლიური ხარჯთ აღრიცხვისა
3. განსაზღვრა საბჭოსა და გამგეობის წევრის რიცხვისა
4. არჩევნები: საბჭოსი, გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა.


ამხანაგობა

## „პროვოდნიკი“

თბილისი სოლოლ. ქ. 4

მიიღეთ ნამდვილი

## მარსელის საპონი

იყიდება

ნაჭრობით

## ყიდის ფოთის ქალაქის გამგეობა

ორტესებრ რკინის კოჭებს 14 სიმაღლეს და 11 არშ. 10 არშ. და 10 არშინიანებს. წონით 2000 ფუთამდე და სახელსაწყო ფოლადს $^1/_4$ – $1^1/_4$-დე, წონით 100 ფუთს

3—1 67

სახელმწ. თეატრი

## ოპერა

ნოემბრის 2

**ქეთო და კოტე**

ნოემბრის 3

**ბალეტის საღამო მ. მორდკინისა.**

ნოემბრის 4

**კ ა რ მ ე ნ ი**

ნოემბრის 5

**ბალეტის საღამო მ. მორდკინისა**

ოპერის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე

## ფოთის ქალაქის გამგეობა.

ეძებს ქალაქის დაბალ ხკოლებისათვის

## ინსტრუქტორს

თხოვნები უნდა გამოგზავნილ იქნას ქალაქის გამგეობის სახელზე. მთხოვნელმა უნდა წარმოადგინოს მომავალ მუშაობის გეგმა ,,კურიკულუმ ვიტე'' და პედაგოგიური სტაჟი. ჯამაგირი 18,000 მანეთი თვეში. თხოვნების მიღების უკანასკნელი ვადა 15 ნოემბრამდე.

3—2 94

## სახელმწიფო დრამის თეატრი.

(ყოფილი არტისტული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

სამშაბათს, ნოემბრის 2-ს

1. დარისპანის გასაჭირი
2. ორინეს ბედნიერება

დ. კლდიაშვილისა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.


## ,,ქამი'' დღესასწაულობს

მენშევიკური საქართველო თანდათანობით და შეურყევლად ითვისებს ბოლშევიკურ რუსეთის სახელმწიფო მართვა-გამგეობის შინაარს.

რამდენადაც უარესდება ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ყველა მხარეები, იმდენად ჩვენი სოციალ-დემოკრატები მეტის დაჟინებით, მეტის გატაცებით იხრებიან „მარცხნივ“, თითქოს საქართველოში არსებულ კრიზისის გამოსწორებას დღევანდელი სახ[illegible]ს რუსეთის ლენინ[illegible] [illegible] უშველი[illegible].

ცხოვრების ყველა დარგს შესამჩნევად დაეტყო მენშევიკების ტლანქი ხელის მუშაობა! „პროპაგანდისტებით“ გაიტენა სახელმწიფო საზოგადოებრივი დაწესებულებანი! უმართებულო ადამიანები თავის უნიჭო მოქმედების ობიექტად რესპუბლიკის აპარატს ჰქმნიან და საქართველოს დემოკრატიას „ლეგალურად“ თვით ახვევენ იაფფასიან ბროშურების „სიბრძნეს“.

„სახისა და მსგავსებისათვისისამებრ“ აწყობს და აწესებს საზოგადოებრივ ყოფაქცევას ქართული მენშევიზმი; ის არ ინდობს არავის და არაფერს, „იმორჩილებს“ ყველაფერს, ხოლო უმოწყალოდ სდევნის და სპობს იმას, რაც უარს აცხადებს დამორჩილებაზე!

პოლიტიკამ შთანთქა ჩვენი ცხოვრება! „სოციალისტური“, მოურიდებელი, მეთოდიურად გამოანგარიშებული და სახტიკ ფორმებში განსახული—ეს პოლიტიკა ცინიკურად შეიჭრა სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროში და გაამეფა ნამდვილი კოშმარი შეძრწუნებულ ქვეყანაში...

„მომავალი ქამი“ მიმდინარე ცხოვრების ,,სტილის'' მაჩვენებლად შეიქმ-

# დღე.

ეგ. გეგეჭკორი საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარესთან იყო სადარბაზოდ.

ბურცევი ევროპიდან ყირიმში გაიგზავნა ვრანგელთან მოსალაპარაკებლად ახალი სახელმწიფოების შესახებ.

ბელგიის მთავრობის წევრი ვანდერველდე თანამდებობიდან გადადგა.

## წ ე რ ი ლ ე ბ ი.

მეთაური: ქამები დღესასწაულობენ.
კიდევ ერთი ცნობა.
ლ. სარბიელი: ფურცლები.
ფელეტონი: ერთა ლიგის ხელშეკრულება (გ. გვაზავას თარგმანი).
ჩვენი კორესპოდენტები: თერჯოლა, ცხინვალი.

---

ნა! ის უკვე ჩვენ შორის არის—ლაზღან დარა და თავხედი... ის ყველგან და ყოველთვის ლაღად ჰგრძნობს თავს, არც არავისი ერიდება: მოკრძალება და სიფაქიზე მისთვის უცნობი, ან გამოუსადეგარი მცნებაა!

„ქამი აწმყოისა“ აჭუჭყიანებს იმ ადგილსაც-კი, სადაც დანარჩენნი „ღვდელმსახურებას“ მოწიწებით ჰქმნიან!

ეს „სამლოცველო ტაძარი“ სკოლაა, სამშობლოს იმედისა და საუკეთესო მომავლის მჭედელნი რომ თავმოუყრია... იქ უნდა აღიზარდნენ კულტურის შემნახველნი, სწავლას იქ უნდა იძენდნენ ისინი, ვისაც საკაცობრიო ცივილიზაციისა და მორალის შეთვისება ევალებათ იმავ სამშობლოს წარსამატებლად.

„ქამი“ ამ „წმიდათა წმიდასაც“ უახლოვდება და მრისხანედ მუქარას უთვლის! ახალგაზრდობაში ეს „ქამი“ თავის მსგავსებას დაეძებს... „ქამი“ ვერ შეურიგდება ისეთს მოვლენას, რომელიც შინაარსითა და შედეგით „ქამების“ გადაჭრილი უარყოფაა!

კომმუნისტური რუსეთი ტიპიური მაგალითია „ქამის“ რეალიზაციისა: „პროლეტკულტმა“ ნიადაგი გაატანა საგანმანათლებლო ცენტრები და კომუნიზმის აგიტატორებს მიაკუთვნა ცოდნის მაღალი კათედრა. მოსკოვის საბჭ. მთავრობას ბოლშევიკის გარეშე ადამიანური არსება არ ესახება. მოსკოვი ანდრიდებს „ნივეილ როვკას“ დაუზოგველად ახდენს და არც არის საბუთი, რომ ეს პროცესი მოსკოვმა შეანელოს, ან შეცვალოს..

საქართველოში ყველა ზომებია მიღებული, რომ რესპუბლიკის მოქალაქე მორწმუნე მუშავკად არსებითად შეიქმნეს. და რომ ეს ადვილად შესრულდეს, სოციალ დემოკრატები ცდილობენ საქართველოს მოქალაქეთა სოციალის ტურად აღზრდასა და განვითარებას ბავშვობიდანვე.

ჯერ ხნობით ეს ზომები უფრო არაოფიციალური ფორმებით გვევლინებოდა. საქართველოს „მენშევიზაცია“ მორცხვად ეფინებოდა; პირველი ეტაპი ცდისა და განზომისა იყო უმეტესად.

ბოლო ხანებში სოციალ-დემოკრატებს გამბედაობა ახასიათებს. პროვინციალური ორგანოებს ამ მხრივ პრიორიტეტი ეკუთვნის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მენშევიზმის მზე ახალსენაკიდან აღმობრწყინდება! ჩვენ ისიც ვერ გაგვეგო, როგორ მოხდა, რომ დედაქალაქში არ მოიძებნა ის შესანიშნავი მოღვაწენი, რომელნიც დღესაც შეუჩნევლად დაუფასებლად იღწვიან ახალსენაკის კოოპერაციის „ხალხის სიმაგრეში“?!.

უფროს ამხანაგებს არ ეპატიებათ მათი ასეთი უგულებელ ყოფა! სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და მომქმედი ადამიანების „ტალანტი“ ყველასაგან მივიწყებულ სენაკში იხუთება..

სენაკელი „კოოპერატორების“ პოლიტიკური მოღვაწეობა ფასდაუდებელია: „მენშევიზაციას“ არაფერი ისე არ შეუწყობს ხელს, როგორც სენაკელ სოციალ-დემოკრატების „რეცეპტი“.

მაშინ საქართველოს სასწავლებლებიდან სულ ერთიანად განიდევნებიან ერა-სოციალისტი მოწაფენი და, აქედან, მომავალი კულტურული ძალებიც მხოლოდ სოციალისტებით იქნებიან წარმოდგენილნი.

სხვა აზრიანობას აჭგილი აღარ ექნება საქართველოში.

„ქამი“ დღესასწაულობს.

---

# კიდევ ერთი ცნობა.

ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში ცნობაა მოყვანილი: ნიკოლაძის დეპეშა შავი ქვის მომარ. სამინისტროს შესახებ. ფუნდუქია მენშევიზმი, რომელსაც დასრულდება მისი ისტორია.

ფიდიდი ჩვენი სიმდიდრე შავი ქვაა და მისი მონოპოლის მოწყობას ეძებს თვით მონოპოლიის ფინანსთა და ვაჭრობამრეწველობის სამინისტრომ. მონოპოლის დაარსების მიზანი ერთი იყო—სახელმწიფოს მეტი სარგებლობა მიეღო ქვაათურიდან. ამისათვის იგი მონაწილეთ გახდეს შავი ქვის ექსპორტის წმინდა მოგებაში და გაანთავისუფლეს ყოველგვარ მოსალოდნელ თუ მოულოდნელ ზარალისგან. შესდგა „ჩემო“, სადაც საქმეებს სწყვიტავს მრეწველთაგან არჩეული კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში მაიმშენებლოვან რომლის თამაშობს მთავრობის წარმომადგენელი. აქ მთავრობის ინტერესი მგონი სავსებით დაცული უნდა იყოს: „ჩემოს“ მართვის ორგანო, სად ც ხმა აქვს მთავრობის წარმომადგენელს. ყოველ გონიერსა და ნორმალური ფსიქიური მდგომარეობის კაცს ექნება გარეშეა აზრადაც არ მოუვა „ჩემოს“ გარეშე საქმის დაწყება. შესაძლოა ვინმემ თქვას, რომ მთავრობის ინტერესები საკმაოთ დაცული არაა „ჩემოში“ რომ იქ სავიროა კიდევ მეტი ადგილის დაკავება მთავრობისაგან, ან რომ წარმომადგენელი სუსტია ან სულ უვარგისია და სხ. ამგვარი. ეს საკითხები ცალკეთ თუ ბევრად სადაოა, მაგრამ ისეთია მაინც, რომ ახვალობა შეიძლება მაგრამ გამოდის მომარაგების სამინისტრო და თხოულობს: მე უნდა წავიღო შავი ქვა და მევე უნდა გავასაღო იგი! ეს არღვევს „ჩემოს“ უფლებას. ეს შლის მონოპოლიას. ბაზარზე იციან რომ ჭიათურის შავ ქვას ვერავინ გაჰყიდის გარეშე „ჩემოსა“. მომარ. სამინისტროს კი სურს ეს ძლიერი შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენი ექსპორტისათვის აურაცხელი მნიშვნელობისაა, სრულიად გააქარწყლოს და ფაქტიურათ გააბათილოს; ე. ი. ხელი შეუწყოს იმ პროვოკაციულ ინტრიგებს, რომელსაც აწარმოებდა საზღვარ გარეთ ორიოდე უცხოელი „ჩემოს“ დარღვევის იმედით. უკვე მით, რომ მომარ. სამინისტრომ შეეცადა მიეღო უფლება დამოუკიდებლივ გაზიდვისა, ის უკვე მოექცა ჩვენი სახელმწიფოსა და „ჩემოს“ მტრების ბანაკში. მომარაგ. სამინისტრომ, შავი ქვის გაზიდვა რომ დაიწყო, ამით უკვე ფაქტიურათ ხელი შეუშალა „ჩემოს“ და ჩვენი სახელმწიფოს პრესტიჟის დაცვის საქმეს, რადგან „ჩემოს“ ნახევრად სახელმწიფოებრივი დაწესებულებაა, მაგრამ მეტი კიდევ: მომარაგ. სამინისტრომ თავისი შავი ქვა, როგორც ნიკოლაძე იუწყება სპეკულიანტებს ჩაუგდო ხელთ. ამით მომარაგ. სამინისტრომ ერთბაშად გულზე ხელი ჰკრა, უხეში, ტლანქი ქცევით უპატიებელი უტაქტობით, აზიური ველური რომლით მოჰგლიჯა „ჩემოსა“ და მთელს ჩვენს სახაზინო ვაჭრობას ევროპიული კომერსანტთა. ის ჩინებული კადრი, რომელიც სახელგანთქმულ „სოლიდურ“ ფირმებისაგან შესდგება და საქმე დაიკავა იმ გუშინდელ ვიგინდარებთან, ქუჩის ავანტიურისტებთან, ყინწლიორებთან, რომელთა მსგავსი მომარ. სამინისტროს აქაც ბევრი ხვევია და ლონდონშიც ბევრი უშვენია რუს-ემიგრანტებთა შორის.

კიდევ მეტი. ამ სპეკულიანტებმა დასცეს ფაქტიურათ შავი ქვის საქმე ბაზარზე, მათი რომ ჯახალეს მთელი ჩვენი მონოპოლია ფიქტიურათ; ხელოვნურად გააორკეცეს მიმწოდებელთა რიცხვი და შექმნეს ამით შთაბეჭდილება ძირიან-ფესვიანათ ბრუნდი, რომ ვითომც ბაზარზე იყოს ათეულობით ჩვენი ქვა არას სხვა და სხვა მიმწოდებელთა ხელში, რომელნიც ერთი მეორისაგან სრულიად დამოუკიდებელი, სრულიად საკუთარი გზით მავალი არიან. შედეგი სავალალოა: სრულიად წაიბლო შავი ქვის საქმე; შერყეულა სასტიკათ „ჩემოს“ ახალდ დაწყებული კეთილი თაოსნობა.

მერე რა უშველის საქმეს?

რათაც უნდა დაგვიჯდეს სპეკულიანტებისაგან უნდა უკან შევისყიდოთ შავი ქვა, ამბობს ლონდონში მყოფი „ჩემოს“ დელეგაცია ნიკოლაძის პირით. კიდევ საკითხია, რამდენათ შესაძლოა იქნება ჩვენთვის, რომ ჩვენ სპეკულიანტებს დავძრათ ხელიდან ის რაც ბრიყვულათ ხელში ჩაიგდო მომარ. სამინისტრომ; მაგრამ კიდეც რომ მოვახერხოთ და დავბრუნოთ შავი ქვა, რამდენი დრო დაგვეკარგება მინამ ამას ვიქმთ? ამ დროის განმავლობაში რამდენათ დაეცა ჩვენი საქმის პრესტიჟი, რამდენი ზიანი მოგვაყენა მომარ. სამინისტროს ამ ერთად ერთმა შეცდომამ, რომლის მსგავსი კიდევ მილიონებისა? რამდენათ შეარყია „ჩემოსა“ და მთელი ჭიათურის, მთელი ქვეყნის ექსპორტი, აზარალა მთელს სახელმწიფოს ბავშურმა, მაგრამ ბოროტმა ურჩობამ? იცით რა მოჰყვება ამ შეცდომას? ბაზარი უარს იტყვის ან დასცემს ფასებს შავ ქვაზე. მომარ. სამინისტროს ასეთ უმადრუკ საქციელის გამო შეიძლება ახლ ომმავალში შესწყდეს სრულიად შავი ქვის გაზიდვა ე. ი. დაგვიდგეს კრიზისი. მენშევიკები თავის ურჩობას არ მოიშლიან, მაგრამ ხალხი, ჩვენი მშრომელი მასა თვალს აახელს და დაინახავს, რომ ცხვრის ტყავში მოვლინებული მგელი ტყის მგელზე უარესია.

ყველაზე მეტად მშრომელი, მუშა ხალხი დაზარალდება მენშევიკების საშინელ შეცდომებით. განა ხალხი ამას ვერ გაიგებს, რომ სპეკულიანტებს შავი ქვა ხელთ ჩაუგდეს, შემდეგ ისევ უნდა შეისყიდოთ რათაც უნდა დაგვიჯდეს, რომ სულ არ დავღუპოთ; მერე საიდან, ვისი ფულით? ხალხის ფული უნდა გაიღოთ მენშევიკების შეცდომების გამოსასწორებლად? ხალხი ამას მოითმენს, მაგრამ როდემდის? ხალხი იცდის მინამ მას მისცემენ საშუალებას გამოთქვას თავისი აზრი და სურვილი. მაშინ კი, მენშევიკებს. ეს ხალხი, მთელი შეგნებული დემოკრატია მხოლოდ გულის წყრომით გასცემს პასუხს იმ საქმეებისათვის, რომელიც ხელახლავ გამოკვეთება ახალ ტვირთად ედება მთელს ხალხს.

---

# ფურცლები.

## ვინ სწევს ფასებს?

დღეს მორიგი ლოზუნგია: ბრძოლა სპეკულიაციასთან.

და ეს ლოზუნგი, ერთნაირად მიღებულია ყველა მიმართულების მიერ. ყველანი ებრძვიან სპეკულიაციას, ყველას მიაჩნია იგი თანამედროვე ცხოვრების უსაშინელეს სენათ, მაგრამ სპეკულიაცია, ამაც თუ არ ცხრება, უფრო ძლიერად იკიდებს ფეხს და ცხოვრების ყოველ მხარეს ითრევს თავის მაცდურ გზაზე.

და ვინ გინდათ, რომ დღეს ამ გზას არ დასდგომია? განა მარტო ვაჭრები და ან უცხოელი კომერსანტები?

ყველა! ყველა! ყველა!

სამინისტროები, სახელმწიფო დაწესებულებანი და საზოგადო ორგანიზაციები, ე. ი.

ისინიც კი—ვინც, თითქოს ამ სპეკულიაციას ებრძვიან.

თუ არ დაიჯერებთ მე ვილაპარაკებ მაგალითებით:

ქ. გორში სცხოვრობს ვაჭარი უხურგუნაშვილი, რომელიც განსაკუთრებით ნავთით ვაჭრობს და თავისი სანავთო აუზები აქვს.

დღეს, საერთოთ, სახიფათოა ყოველი ქონება, რადგან არ იცი, თუ ან როდის წაგართმევენ. მას და უხურგუნაშვილიც ... შიშში იყო...

წინათგრძნობამ მას არ უმტყუნა.

ერთ მშვენიერ დღეს მოქალაქე უხურგუნაშვილთან გამოცხადდა გორის ერობის რწმუნებული და აცნობა, რომ ერობის გამგეობის დადგენილებით, მას:

„ჩამოერთვას სანავთო აუზი, რადგან იგი ესაჭიროება ერობას, ხოლო უხურგუნაშვილი კი სარგებლობს სანავთო აუზით, სწევს ფასებს და სპეკულიაციას ეწევა!

ვაჭარი უხურგუნაშვილი საკმაოდ მშრიახი და წინდახედული კაცი აღმოჩნდა; გაიგო თუ არა ერობის განზრახვა, ქალაქის გამგეობას შეეკრა პირობით და დაუთმო მისი საჭიროებისთვის ერთი აუზი.

ამ რიგათ, ერთი დაწესებულება გადაელობა მეორეს, უხურგუნაშვილი გადარჩა.

და გორში ნავთის ვაჭრობას, ბაც ისევე შეუდგა, როგორც უხურგუნაშვილი, მაგრამ აი რა განსხვავება.

ენკენისთვის დასაწყისში, ერობა და უხურგუნაშვილი ორივ ერთ ფასში ჰყიდდენ ნავთს: 160 მ. ფ.

შემდეგ:

უხურგუნაშვილი: 280 მ.—ერობა: 3..

რამოდენიმე ხნის შემდეგ:

უხურგუნაშვილი: ისევ 280 მ.—ერობა 400.

ერობამ ნავთის ფასი 480 მანეთამდის ასწია, ხოლო უხურგუნაშვილს ნავთი სრულებით გამოელია და ბაზარზე მხოლოდ ერობას დარჩა?

ჩვენ ვკითხულობთ: ვინ სწევს ფასებს და ვინ ეწევა სპეკულიაციას?

დღეისთვის ეს მაგალითიც საკმარისია.

**ლ. სარბიელი.**

---

## ვანდერველდეს გასვლა მთავრობიდან.

გაზ. „მორნინგ პოსტი“ იუწყება: „ვანდერველდე მთავრობის კაბინეტიდან გავიდა და სოციალისტური პარტიების ხელმძღვანელობას შეუდგა“.

---

## ორჯონიკიძის აზრი.

**საქართველოსა და კომუნისტების შესახებ.**

ერთ-ერთ ცნობილი საზოგადო მოღვაწესთან კერძო საუბრის დროს ორჯონიკიძემ საქართველოსა და კომ...

---

# ხელშეკრულება ერთა ლიგისა.

**თარგმანი გ. გვაზავასი.**

(დასასრული)

იხ. „საქ.“ № 134.

**განხილვა დავისა საბჭოს ან ყრილობის მიერ.**

მუხ. 15—უკეთუ ატყდება ლიგის წევრთა შორის რაიმე დავა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს განხეთქილება, და თუ ეს დავა არ არის გადაცემული არბიტრაჟისათვის, თანახმად მე-13 მუხლისა, წევრნი ლიგისა თანახმანი არიან გადაიტანონ იგი საბჭოსი. ამისთვის საკმარისია, ერთმა იმათგანმა აცნობოს ეს დავა მთავარ მდივანს, რომელიც ახდენს ყოველ განკარგულებას მისი გამოკვლევისა და სრული განხილვისათვის.

ძალიან მოკლე დროში მოდავე მხარეებმა უნდა წარუდგინონ მას მოხსენება მათი საქმისა ყველა სწორი ფაქტობითა და გასამართლებელი საბუთებიანად. საბჭოს უფლება აქვს უბრძანოს მათ დაუყონებლივ გამოქვეყნება.

საბჭო ჰცდილობს უზრუნველჰყოს გადაჭრა დავისა. უკეთუ ეს მოახერხა, გამოაქვეყნოს, რამდენადაც ამას სასარგებლოდ მიიჩნევს, მოხსენებას, რომელშიდაც აღნიშნავს ფაქტებს, სათანადო მოსაზრებებს და გადაჭრის პირობებს.

უკეთუ დავის გადაჭრა ვერ მოხერხდა, საბჭო ადგენს და აქვეყნებს მოხსენებას, მიღებულს ერთხმად ან ხმათა უმეტესობით, რათა ამცნოს (ყველას) გარემოებანი დავისა და გადაწყვეტილებანი, რომელნიც მას მიაჩნია უფრო სამართლიანად და უფრო შესაფერისად საქმისათვის.

ყოველ წევრს ლიგისას, წარმოდგენილს საბჭოში, შეუძლიან აგრეთვე გამოაქვეყნოს გარემოება საქმისა და თავისი დასკვნანი.

უკეთუ მოხსენება საბჭოსი მიღებულია ერთხმად—ამ ანგარიშში არ ითვლება ხმები მოდავე მხარეთა წარმომადგენლებისა,—წევრნი ლიგისანი ვალდებულნი არიან არ მიჰმართონ ომს არც ერთი მხარის წინააღმდეგ, რომელიც იმოქმედებს თანახმად მოხსენების დასკვნისა.

იმ შემთხვევაში, როცა საბჭო ვერ ახერხებს მიაღებინოს თავისი მოხსენება ყველა წევრებს, გარდა მოდავე მხარეთა წარმომადგენლებისა,—წევრი ლიგისანი იტოვებენ უფლებას იმოქმედონ ისე, როგორც საჭიროდ დაინახავენ უფლებისა და სამართლის განმტკიცებისათვის.

თუ რომელიმე მხარე მოითხოვს და საბჭო დაინახავს, რომ დავა შეეხება ისეთ საკითხს, რომელიც საერთაშორისო უფლების ძალით შედის მხოლოდ და მხოლოდ ამ მხარის კომპეტენციაში, საბჭო ამას აღნიშნავს თავის მოხსენებაში, მაგრამ არ იძლევა რჩევას არავითარი გადაჭრისათვის.

საბჭოს შეუძლიან, ყოველ ამ მუხლში გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადიტანოს დავა ყრილობაში. ყრილობაშივე უნდა იქმნეს აგრეთვე გადატანილი დავა ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ეს თხოვნა წარდგენილ უნდა იქმნეს თოთხმეტი დღის განმავლობაში იმ დროიდან როცა დავა აღძრულ იქმნა საბჭოში.

ყოველ საქმეში, რომელიც ექვემდებარება ყრილობას, დადგენილებანი ამ მუხლში და მე-12 მუხლში აღნიშნულნი შესახებ საბჭოს მოქმედებისა და უფლებისა სავალდებულონი არიან აგრეთვე ყრილობისთვის მის მოქმედებისა და ბრძანებებში.

მიღებულია, რომ მოხსენება გატარებული ყრილობის-მიერ საბჭოში წარმოდგენილ ლიგის წევრთა წარმომადგენლების და ლიგის დანარჩენ წევრთა უმრავლესობით დამტკიცებით — ყოველ შემთხვევაში მოდავე მხარეების წარმომადგენლები ანგარიშში არ შედიან,—აქვს ისეთივე ძალა, როგორიც საბჭოს მოხსენებას, მიღებულს ერთხმად წევრთა მიერ, გარდა მოდავე მხარეთა წარმომადგენლებისა.

**ს ა ნ ქ ც ი ა.**

მუხ. 16. — უკეთუ რომელიმე წევრმა ლიგისამ მიჰმართა ომს წინააღმდეგ მე-12 მე-13 ან მე 15 მუხლში მიღებულ ვალდებულებათა, იგი, (იპსო ფაქტო) აღიარებულია როგორც ამტეხი ომისა წინააღმდეგ ლიგის ყველა დანარჩენი წევრებისა. ეს უკანასკნელნი ვალდებულნი არიან დაუყონებლივ შესწყვიტონ იმასთან ყოველი სავაჭრო თუ საფინანსო განწყობილებანი, აკრძალონ ყოველი ურთიერთობა თავიანთ ქვეშევრდომთა და ხელშეკრულების დამრღვევი სახელმწიფოს ქვეშევრდომთა შორის და შეაწყვეტინონ ყოველი დამოკიდებულება ფინანსიური, კომერციული თუ პიროვნული ამ სახელმწიფოს ქვეშევრდომთა და ყოველი სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომთა შორის, სულ ერთია წევრი იგი თუ არა ლიგისა.

ამ შემთხვევაში საბჭო ვალდებულია უჩვენოს სხვა და სხვა დაინტერესებულ მთავრობებს რიცხვობა სამხედრო, საზღვაოსნო და საჰაერო ნაწილებისა, რომელთა საშუალებით წევრნი ლიგისანი შეეცდებიან თავის მხრივ შექმნან შეიარაღებული ძალა, რათა უზრუნველჰყონ პატივისცემა საზოგადოების მიერ დადებული ვალდებულებათა.

წევრნი ლიგისანი თანახმანი არიან, სხვათა შორის, აღმოუჩინონ ერთმანეთს საურთიერთო დახმარება ეკონომიური და ფინანსიური ზომათა გატარებისათვის, თანახმად ამ ხელშეკრულებისა, იმ ზარალისა და უხერხულობისა მინიმუმამდე შესამცირებლად, რომელიც შეიძლება აქედან წარმოდგეს. ისინი უწევენ აგრეთვე ერთმანეთს დახმარებას, რომ წინა აღუდგნენ ყველა განსაკუთრებულ ზომას, მიმართულს მათგანი ერთის ვასიმე წინა ლიგის იმ სახელმწიფოსი—იმიერ, რომელიც დაარღვია ხელშეკრულება. ისინი საჭირო განკარგულებას ახდენენ, რომ გაუადვილონ გატარება თავიანთ ტერიტორიაზე ლიგის ყოველი წევრის ჯარებს, რომელიც მონაწილეობას იღებს საერთო მოქმედებაში. ლიგის იყო დადებულ ვალდებულებათა პატივისცემისათვის.

შეიძლება გამორიცხულ იქმნას ლიგიდან ყოველი წევრი, რომელმაც რაიმე დაარღვია ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი ვალდებულების შესრულება. გამორიცხვა ჰწყდება საბჭოში წარმოდგენილი ლიგის ყველა დანარჩენი წევრების ხმებით.

**დავა ლიგის არა-წევრთა შორის.**

მუხ. 17 — თუ დავა ატყდება ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგან მარტო ერთი არის წევრი ლიგისა ან არც ერთი მისი არ შედის, სახელმწიფო ან სახელმწიფონი ლიგის გარეშე მდგომარენი, მოწვეულნი არიან მიიღონ ის ვალდებულებანი რომელნიც დაკისრებულნი არიან მის წევრებზე დავის გადასაწყვეტად საბჭოს მიერ სამართლიანად ცნობილ პირობებში. უკეთუ ეს მოწვევა მიღებულია, დადგენილებანი მე-12 მე 16 მუხლებისა სავალდებულონი არიან იმ ცვლილებისამებრ, რაც საჭიროდ მიჩნეული იქნება საბჭოს მიერ.

ამ მოწვევის გაგზავნისთანავე საბჭო იწყებს გამოძიებას დავის გარემოებისას და იღებს ისეთ ზომას, რომელიც ჰქონია უკეთესი და უფრო მიზან შეწონილი საქმისთვის.

უკეთუ მოწვეული სახელმწიფო არ არის თანახმა იკისროს ლიგის წევრის ვალდებულებანი დადებულნი დავისა გადაჭრისათვის, და მიმართავს ომს ლიგის რომელიმე წევრის წინააღმდეგ, დადგენილებანი მე-16 მუხლისა მასდა მიმართ სავალდებულონი არიან.

უკეთუ ორივე მოწვეული მხარე არ არიან თანახმა იკისრონ დადებულნი დავის გადაჭრისათვის ლიგის წევრის ვალდებულებანი, საბჭოს შეუძლიან მიიღოს ყოველი ზომა და მისცეს ყოველნაირი წინადადება ომიანობის ასარიდებლად და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის.

**აღნუსხვა ხელშეკრულებათა.**

მუხ. 18—ყოველი ხელშეკრ. ან საერთაშორისო ვალდებულება, დადებული მომავალში ლიგის რომელიმე წევრის მიერ, უნდა იქმნას დაუყოვნებლივ აღნისხული სეკრეტარიატში და გამოქვეყნებული მის მიერ შეძლებისამებრ დაუყოვნებლივ. არც ერთი ეს ხელშეკრულებანი თუ საერთაშორისო ვალდებულებანი არ იქნებიან სავალდებულონი, უკეთუ წინდაწინ აღნუსხნული არ იქნებიან.

**გადასინჯვა ხელშეკრულებისა.**

მუხ. 19—ყრილობას შეუძლიან დრო გამოშვებით მოიწვიოს წევრნი ლიგისანი იმ ხელშეკრულებათა ხელახალ განხილვის მოსახდენად, რომელთა შესრულება მოუხერხებელი აღმოჩნდება, აგრეთვე იმ საერთაშორისო მდგომარეობისა, რომლის შეუცვლელად დატოვება შეიძლება ხიფათით ემუქრებოდეს ქვეყნის მშვიდობიანობას.

**შეუთავსებელი შეთანხმებანი.**

მუხ. 20—საზოგადოების წევრნი აღიარებენ, თვითეული თავთავისი მხრივ, რომ ეს ხელშეკრულება აუქმებს ყოველ პირობებს და შეთანხმების „ინტერსე“, რომლებიც კი არ შეესაბამებიან მის მოთხოვნილებებს და საქვეყნოდ აღმთქმასა სდებენ არავის შეეკრან მომავალში ამისთანა პირობებით.

უკეთუ ლიგაში შესვლამდე რომელიმე წევრმა მიიღო თავისთავზე შეუთავსებელი ამ ხელშეკრულების პირობებთან ვალდებულებანი, მან უნდა მიიღოს დაუყოვნებლივი ზომები ამ ვალდებულებისაგან თავის დასახსნელად.

**შეთანხმება შესათავსებელი ამ ხელშეკრულებასთან.**

მუხ. 21—საერთაშორისო შეთანხმებანი ვით მაგალითად საარბიტრაჟო პირობანი, და შეთანხმებანი ადგილობრივი, როგორც დოქტრინა მონროესი, რომელნიც ხელს უწყობენ მშვიდობიანობის დამყარებას, არ არიან შეუთავსებელნი ამ ხელშეკრულების არც ერთი დადგენილებასთან.

**მანდატი.**

მუხ. 22. მიღებულია შემდეგი პრინციპები იმ ახალშენებისა და ტერიტორიებისათვის, რომლებმაც ომის შემდეგ შესწყვიტეს ყოფნა იმ სახელმწიფოთა სუვერენობის ქვეშ, რომელნიც მათ განაგებდნენ წინედ, და რომლებიც დასახელებული არიან ისეთი ხალხებით, რომელთან ჯერ კიდევ არა აქვსთ უნარი თვითმართველობისა, განსაკუთრებით ეხლანდელ ცხოვრების მეტად გაჭირვებულ პირობებში. კეთილდღეობა და განვითარება ამ ხალხებისა შეადგენს ცივილიზაციის წმინდა დანიშნულებას და საჭიროა ამ ხელშეკრულებაში მოხსენებულ იქმნას გარანტიებიც ამ დანიშნულების ასრულებისათვის.

უკეთესი მეთოდი ამ პრინციპის პრაქტიკულად განხორციელებისათვის არის —მიენდოს მზრუნველობა ამ ხალხების განვითარებულ ერებს, რომლებიც მათი ქონების, მათი გამოცდილების და მათი გეოგრაფიულ მდებარეობის გამო, უკეთ შეიძლებენ იკისრონ ეს პასუხისმგებლობა და რომლებიც დათანხმდებიან ეს მიიღონ: ესენი გასწევენ ამ მზრუნველობას მანდატორების სახით და საზოგადოების სახელით.

ხასიათი მანდატისა უნდა სხვა და სხვა იყოს მისდა მიხედვით, თუ როგორია დონე ხალხის განვითარებისა, გეოგრაფიული მდებარეობა ქვეყნისა, მისი ეკონომიური პირობანი და სხვა ამისთანა გარემოებანი.

ზოგიერთმა თემებმა, რომლებიც ეკუთვნოდნენ წინედ ოსმალეთის იმპერიამი ღწიეს განვითარების იმ საფეხურს რომ მათი არსებობა, როგორც მოუკიდებელი ერისა, შეიძლება ცნობილ იქნეს წინასწარ, იმ პირობით, რჩევა და დახმარება რომელიმე მანდატორისა წინ უძღვებოდეს მათ მართვას იმ დღემდე, როცა ეგენი თვით შეიძლებენ მარტონი თავიანთ საქმეს წარმოებას. სურვილნი ამ თემებისა იყვნენ თავდაპირველად მიღებული მხედველობაში მანდატორის არჩევის დროს.

დონე განვითარებისა, რომელშიც იმყოფებიან სხვა ხალხნი განსაკუთრებით შუა-აფრიკისანი მოითხოვს, რომ მანდატორმა იქ იკისროს მართველობა ... ნის იმ პირობით, რომ ბოროტმოქმედების აღკრძალვასთან, როგორიც ყიდვა-გაყიდვა მონებისა, ვაჭრობა ... ლითა და მაგარ სასმელებით, ... უზრუნველყოფილ იყოს სინიდისის და ... ნოების თავისუფლება შეუზღუდველი —გარდა იმ შეზღუდვისა, რომელსაც მოითხოვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და კეთილ-ზნეობრიობა,—კრძალვა სიმაგრეებისა ან სამხედრო საზღვაოსნო ბაზის აშენება და ... რო ცოდნის გავრცელება ადგილობრივ მცხოვრებთა შორის, გარდა იმ ... რომელიც საჭიროა საპოლიციო ... ხურისა და ქვეყნის თავდაცვისათვის და უზრუნველჰყოს აგრეთვე ლიგის წევრებისათვის თანასწორობის პირობები აღებ-მიცემობისა და ვაჭრობისა.

და ბოლოს, არიან ქვეყნები, როგორც მაგალითად სამხრეთ-დასავლეთ აფრიკა და ზოგიერთი კუნძულები რი ოკეანესი სამხრეთ ნაწილში, ... ლებიც—კაცისაგან არ არიან დასახლებულნი, შეზღუდულ ... მიდამონი, შორს არიან ცივილიზაციის ცენტრებიდან, მანდატორის ტერიტორიასთან გეოგრაფიულ მოსაზღვრეობით თუ სხვა გარემოებათა გამო.

უკეთესად მოაწყობენ მართველობას მანდატორის ხელში, მისი კანონების ქვეშ, როგორც განუყრელი ნაწილისა ... სი ტერიტორიისა, მხოლოდ იმ გარანტიებისა, რომლებიც ზემოთ აღნიშნულნი ადგილობრივი მცხოვრებთა სასარგებლოდ.

ყოველ შემთხვევაში მანდატორი ვალდებულია გამოუგზავნოს საბჭოს ...

ჯმის უახლოვეს ამოცანის შესახებ შემდეგი სთქვა: „არ არის მართალი ის ხმები, თითქოს მე მოვითხოვდე საქართველოს წინააღმდეგ აგრესიულ პოლიტიკის წარმოებას. წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიზანია დღეს არა ომი, არამედ მშვიდობიანობა, არა ლაშქრობა, არამედ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. განსაკუთრებით საქართველოს მიმართ მოსკოვის მთავრობა,—რომელსაც აინტერესებს შავი ზღვის ზოგიერთი პორტები,—იძულებულია ყოველგვარი უთანხმოება თავიდან აირიდოს. საქართველოს ჩვენ ძალით არ ვახვევთ თავზე კომინისტურ წესწყობილებას. ეს საკითხი მან დამოუკიდებლივ უნდა გადაჭრას.

საბჭოთა მთავრობის წრეებში არმიის შესახებ იმ აზრის არიან, რომ რაც შეიძლება მალე მოახდინონ ვრანგელის ფრონტის ლიკვიდაცია და ჯარი დაუბრუნონ ნაყოფიერ შრომას. ეს შრომის ლაშქარი ყოველთვის მზად იქნება იარაღით დაიცვას პროლეტარიატის ინტერესები“.

## გენ. დენიკინის სიკვდილი.

გაზ. „სოვეტსკ. იუგ“ შემდეგს იუწყება, გენ. დენიკინის სიკვდილის შესახებ. დენიკინი მიეჩქარებოდა გენ. ვრანგელთან სათათბიროდ ყირიმში, მაგრამ გზაზე ავად გახდა და ბრიუსელის ერთ ერთ სასტუმროში გარდაცვალა.

## საქართველო და ვრანგელი.

ბათომიდან გვატყობინებენ შემდეგს: ოქტომბრის 12-ს საქართველოს ზღვის ნაპირებზე მომხდარ ინციდენტის გამოსარკვევად ვრანგელმა დანიშნა საგანგებო კომისია. კრეისერი „ალმაზის“ უფროსი, ლეიტენანტი კოსინი დაატუსაღეს ვრანგელის პირადი ბრძანებით. შავი ზღვის ფლოტს ნაბრძანები აქვს საქართველოსთან კონფლიქტს თავი აარიდოს. ბრძანებაში ასეთი ფრაზაა: „არ არის სასურველი, რომ ასეთს კრიტიკულ პირობებში ახალი მტერი გაგვიჩნდეს“.

## სამოქალაქო ომი დაღესტანში.

აჯანყება მიედო გუნიბს ჭავარისა და ანდიის ოლქებს. ‥ დღეს დაღესტანში შეიქმნა სამოქალაქო ომის ფრონტი, რომელიც გადაჭიმულია სოფ. ჩოხიდან სალტინკამდე. აჯ. ნაყებულებმა ტყვედ წამოიყვანეს 200 წითელ-არმიელი ინდიის რევკომის თავმჯდომარე და სხ. („Вольн. гор.“)

## საბჭოთა მისიის ჩასვლა ანგორაში.

6 ამ მ-ში ჩამოვიდა საბჭოთა რუსეთის მთავრობის მისია. მისია შესდგება 75 წევრისაგან. მისის უფროსია ელიავა, რომელიც ახლა სპარსეთში იმყოფება. მათ შორისაა აგრეთვე აზერბეიჯანის სამხედრო წარმომადგენელი ორჯონიკიძე.

შეხვედრას ზეიმის ხასიათი ჰქონდა.

მისიამ თან ჩამოიტანა საკუთარი რადიო აპარატი. „Вольн гор.“

### ბათუმის დამოუკიდებლობა.

ანატოლიის ნარკომინდელმა ბეჭირ-სამი-ბეიმ ლონდონში, ჩვენთში და ინგლისში მოგზაურობის დროს განაცხადა შემდეგი: „ლენინი იმ აზრისაა, რომ საბჭოთა მთავრობის მთას მიეჩინოს სრული დამოუკიდებლობა, „ბათუმიდან ყარსამდე“ მიიღეს ბოლშევიკებს კი თავიანთი მხრით გადაწყვეტილი აქვთ, რომ მთა ირთის ჯარისკაცს ვერ მისცემს რუსეთს. „ვოლ. გორ.“

## სოციალისტი ბურცევი იმპერიალისტების ქურქში.

თბილისი. ნოემბრის 1. სტამბოლიდან მიღებული ცნობებით ევროპიდან სახ. ბეგით იგზავნება ვ. ბურცევი ვრანგელთან მოსალაპარაკებლათ საქართველოს და ახალ სხვა სახელმწიფოთა შესახებ. ვრანგელთან მოლაპარაკების შემდეგ იგი გაემგზავრება ამერიკას. მას დავალებული აქვს შეადგინოს იქ კომიტეტები, რომლებიც იმუშავებენ ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ ახალ სახელმწიფოთა საქმის ჩასაშლელად.

## ბოლშევიკები საქართველოს შესახებ.

(რუსეთის დ. ს. ცნობა.)

მენშევიკების საქართველომ, რომელმაც ჩვენთან დადო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მას ნება არა აქვს თავის ტერიტორიაზე საბჭოთა რუსეთის მტრებს ადგილი მისცეს, თავი შეაფარებინა ინგლისის ესკადრას, რომელმაც ხელთ იგდო იტალიის გემ.

## ე. პ. გეგეჭკორი საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნ ლეიგთან.

ნოემბრის 1, საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა ლეიგმა სადარბაზოთ მიიღო ე. პ. გეგეჭკორი.

ე. პ. გეგეჭკორმა გადასცა ბ-ნ ლეიგს წერილი ნ. ჟორდანიასი, რომელშიც საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე აღნიშნავს ქართველი ერის მეგობრულ გრძნობებს საფრანგეთის რესპუბლიკისადმი და გამოსთქვამს მტკიცე იმედს, რომ საფრანგეთის მთავრობა დაეხმარება საქართველოს რესპუბლიკის მიერ თავის უფლებისა და დამოუკიდებელ არსებობისათვის წარმოებულ, მძიმე ბრძოლაში.

ბ-ნმა ლეიგმა უპასუხა, რომ ის დიდათ მოხარულია რადგან მას საშუალება ეძლევა კავშირი იქონიოს საფრანგეთის მთავრობის სახელით საქართველოს ნორჩ რესპუბლიკასთან, მით უმეტეს, რომ საფრანგეთი დიდის ინტერესითა და ცხოველი თანაგრძნობით ადევნებს თვალ-ყურს იმ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის საქმეს, რომელიც ასეთი ჩინებული წარმატებით მოჰყავს სისრულეში ქართველ ხალხსა და მისს ახალგაზრდა რესპუბლიკის მთავრობას.

საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა პირადი დამოკიდებულების დამყარება ე. პ. გეგეჭკორთან, რომლის შესახებაც მას დიდი ხანია სასიამოვნო ცნობები აქვს, როგორც მისი მოღვაწეობიდან საქართველოს კეთილ დღეებისათვის, აგრეთვე იმ თანაგრძნობიდან, რომელსაც ე. პ. გეგეჭკორი, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს რესპუბლიკისა იჩენდა ფრანგ მოქალაქეთა მიმართ.

ე. პ. გეგეჭკორმა განაცხადა, რომ მას იმედი აქვს დახმარებისა საფრანგეთის მთავრობის მხრივ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიულათ ცნობის საქმეში, ვინაიდან გარეშე ამ აქტისა წარმოუდგენელია სასურველი კავშირის აღდგენა დასავლეთ ევროპისა და საქართველოს შორის.

ბ-ნმა ლეიგმა განაცხადა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი, მასში არავითარ რყევასა და ეჭვს არ იწვევს, მიზანი დასახული საქართველოს რესპუბლიკის მიერ უნდა მიღწეულ იქმნას და ამ საქმეში საფრანგეთის მთავრობა გაუწევს მას სრულ დახმარებას. საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიულათ ცნობა, ყველა დიდ სახელმწიფოთა მიერ, დააგვირგვინებს საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას საქართველოს საკითხში.

ე. პ. გეგეჭკორმა გულითადი მადლობა გადაუხადა საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარეს იმ თანაგრძნობისათვის რომელსაც ის იჩენს საქართველოსადმი.

მეორე დღეს ე. პ. გეგეჭკორი მიიღო საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა, ბ-ნმა ბერტელომ, რომელთანაც მას ხანგრძლივი ბაასი ჰქონდა. (ს. დ.)

# უცხოეთში

## რუსეთის სოციალისტების მოწოდება.

პრაგის გაზ. „ვოლია როსსის“ მე № 5-ში მოთავსებულია შემდეგი წერილი:

„72 მემარცხენე სოც. რევოლიუციონერი, 42 მემარჯვენე სოც. რევოლიუციონერი, 27 მაქსიმალისტი, 80 ანარხისტი და სოც. დემოკრატი, რომელნიც დღეს მოსკოვში არიან დატუსაღებულნი ბოლშევიკების მიერ მიმართავენ საგანგებო მოწოდებით დასავლეთ ევროპის და რუსეთის სოციალისტებს: „თქვენ გაუგეთ! მუშათა კლასის მდგომარეობა, არასოდეს არ ყოფილა ისე აუტანელი, როგორც დღეს და სპეკულიანტები არსად არასოდეს არ ყოფილან ისე ძლევამოსილნი, როგორც თანამედროვე რუსეთში. სოფლებში თანდათან ძლიერდება ბურჟუაზია. სოც. რევოლიუციონერები გოცი, ტიმოთე, ევგენი რატნერი, ვედენიაპინი, დონსკოი მოროზოვი, სლეტოვი, მაქსიმალისტი კამიშოვი და ნეუსტროევი ციხეში ლპებიან. სოც. დემოკრატი ზონი სიმშილით მოჰკლეს. ჩერეპანოვი მემარცხენე ს. რევ. აწამეს. მტრული დამოკიდებულება ბოლშევიკებსა და მუშებს შორის დღეს საშიშ ხასიათს ღებულობს. მუშების მდგომარეობა თანდათან მწვავდება შრომის მილიტარიზაციის შემოღების და ბაზრის უქონლობის გამო. შემოღებულია თორმეტი საათის სამუშაო დღე. მუშებს ეძლევათ გირვანქის მეოთხედი პური. სანოვაგის ყიდვა თავისუფლად არავის არ შეუძლია.

ბოლშევიკების ბატონობის შემდეგ 150 მეცნიერი მოკვდა.

მუშებსა და ინტელიგენციაში რელიგიოზურმა მოძრაობამ იჩინა თავი. მოძრაობას მეთაურობენ ახალგაზდა მღვდლები და ცნობილი ფილოსოფოსი ლოსკი. მუშათა რაიონებში ეკლესიები „მლოცველებს ვერ იტევენ“.

# დეპეშები

## ს. დ. ს. სპეც. მაუ. ცნობები.

### ქემალ ფაშას წერილი.

სტამბოლი. სომხური გაზეთი „ჰაკარტამარტი“ აქვეყნებს ჩიჩერინისადმი მიწერილ ქემალ ფაშის წერილს. ჩვენ დიდი სიამოვნებით მივიღებთ მხედველობაში რუსეთის ვარეშე საქმეთა კომისრის მიმართვა ანგორის ეროვნულ კრებისადმი ამასთანავე თავს ნებას ვაძლევთ შევეხოთ შემდეგს მუხლებს: 1. ჩვენ იარაღი ავიღეთ ხელში მოსახმარებლად, რომ ანტანტამ ოსმალეთის მიმართ ერთა თვითგარკვევის უფლება უარყო. 2. სიამოვნებით ვღებულობთ რუსეთის შუამავლობას სპარსეთთან და სომხეთთან საზღვრების საკითხში და ჩვენის მხრით შემდეგს ვთხოულობთ: 3. ანტანტის გეგმების დასაშლელად საჭიროდ მივაჩნია რომ ჩვენმა ჯარმა დაიკავოს ყარსი და სხვა ოლქები. მივიღეთ თქვენი წერილი და ჩვენ ამ გეგმის ძალით შესრულებაზე დროებით უარი ვსთქვით. გთხოვთ იქონიოთ სომხეთზე გავლენა, რომ იმათ ოსმალეთზე თავდასხმა შესწყვიტონ. 4. რუსეთის მთავრობასთან დანიშნული ჩვენი დელეგატები უკვე გაემგზავრენ: იმათ მიეცათ მანდატი საბჭოთა რუსეთთან კეთილ მეზობლურ დამოკიდებულობის დასამყარებლად.

სევასტოპოლი. ყირიმის გაზეთებში გამოქვეყნებულია ვრანგელის შტაბის ოფიცრების მოწოდება ბოლშევიკთა ბანაკში მყოფ ოფიცერთა მიმართ. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ რუსეთის ჯარმა აიღო მახვილი თავისუფლების, მშვიდობიანობისა და რუსეთის ხალხის განთავისუფლებლად. ძველი დანაშაულებანი დავიწყებული იქნება, თუ წითელ არმიისაგან რუსეთის არმიაში გადმოხვალთო.

### რუსეთის მდგომარეობა.

სტამბოლი. ოსმალური გაზეთი „პეიამ საბაჰი“ იხილავს რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას და გაკვირვებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ქემალისტებს საბჭოთა რუსეთის იმედი აქვს. ოსმალეთს არასოდეს არ უნდა ავიწყდებოდესო,—სწერს გაზეთი, რომ რუსეთი ოსმალეთის მოსისხლე მტერი იყო ყოველთვისო. შემდეგ გაზეთი ეხება რუსეთის მდგომარეობას სამხედრო ასპარეზზე და აღნიშნავს მის მძიმე მდგომარეობას. გაზეთის აზრით თუ მოსკოვის ძალებმა ფეხი დაადგეს ოსმალეთის ტერიტორიას, მაშინ ისინი ოსმალეთს დაიმორჩილებენო.

### უმუშევრობა ინგლისში.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება ინგლისში უმუშევრობის გაძლიერების შესახებ. უმუშევრობა საშიშ სახეს ღებულობს უმუშევრობა გამოწვეულია მრეწველობაში გამეფებულ კრიზისით.

## ფრანგული ცნობები.

ბირჟის კურსი. ლონდონი—54,43. ნიუ იორკი—1575 ნახ. გერმანია—20 მეოთხ. ბელგია—106, ესპანეთი—214 ნახ., იტალია—58 ნახ., პრაგა—17 სამი მეოთხ. რუმინეთი—25 ერთი მეოთხ. შვეიცარია—247 [illegible] მარსელი ოქტ. 30. ბრინჯი—170 [illegible] ხუდო—160, კარტოფილის ფქვილი—150. ჰავრი. ოქტ. 29. სექტემბრის ბამბა—430, ოქტომბრის—430, ნოემბრის 428, ლიონი. ოქტ. 30. სევენის აბრეშუმი—235, იტალიის—225, სირიის—50, ჩინეთის—280, კანტონის—200.

### ვრანგელი და ბოლშევიკები.

გენ. ვრანგელმა საფრანგეთის უმაღლეს კომისარს საუბარში სხვათა შორის უთხრა: ჩვენ გადავწყვიტეთ ვიბრძოლოთ ბოლომდის, არა იმიტომ, რომ ჩვენ ომის სურვილით ვართ გატაცებული, არამედ იმ მიზნით, რომ განვანთავისუფლოთ რუსის ხალხი იმ ტირანიისაგან, რომელიც მას სჩაგრავს და მივცეთ მას საშუალება თავისუფლათ განაგოს თავისი ბედიღბალიო. ბ-ნმა მარტელმა უპასუხა: საფრანგეთმა გადასწყვიტა შეძლებისდაგვარად რუსეთს გაუწიოს ყოველგვარი ზნეობრივი და ქონებრივი დახმარებაო.

# ახალი ამბები.

### მთავრობაში

— მთავრობაში. მთავრობამ ოქტომბრის 26 სხდომაზე დაადგინა ჩამოერთვას და წითელი ჯვარის საზოგადოებას გადაეცეს 26 მაისის ქუჩაზე მდებარე მამული თამამშევისა. მამულის შეფასება სასამართლოს მიენდო.

— მთავრობამ დაადგინა ყოფილ მიხეილის საავადმყოფოდან მიეცეს საზებიო ინსტიტუტს 20 ლოგინი შტატითა და ინვენტარით. კლინიკის 20 ლოგინი კი გადმოტანილ იქნას მიხეილის საავადმყოფოში.

— მთავრობამ დაადგინა კვარციანის სპილენძის ჩამომსხმელ ქარხანას ფინანსთა სამინისტროს სამრეწველოს თანხიდან მიეცეს 10 მილ. მანეთი სესხათ. ფინანსთა მინისტრს დაევალა მოელაპარაკოს ქარხნის მეპატრონეებს რათა მთავრობას ქარხანაში წილი ექმნეს.

### სამინისტროებში

— სახელმწიფოს შემოსავალი. ფინანსთა სამინისტროს ცნობით სექტემბერში სახელმწიფოს შემოსავალი ყოფილა 273 894,495 მანეთი აქედან პირდაპირი გადასახადი ყოფილა 13,040,773, მ. არა პირდაპირი 231,011,827 მან. საბაჟოებიდან 29,841,895 მ. აგვისტოსთან შედარებით შემოსავალმა მოიმატა 119, 628,505 მანეთი. კერძოთ მეტად გადიდდა შემოსავალი პირდაპირი გადასახადისაგან.

— შრომის სამინისტროში. მუშათა მაგიდამ მიიღო 4 ვაგონი ხახვი 500 ფ. ხახვი გადიეცა ფოსტა ტელეგრაფის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთათვის დასარიგებლად დანარჩენი ხახვი მუშათა მაგიდის საწყობში ინახება და ახლო მომავალში დაურიგდება მუშა მოსამსახურეთ ოჯახზე ნახ. ფუთი. ახლო ხანში კიდევ მოელიან რამოდენიმე ვაგონ ხახვს.

— მუშათა მაგიდა თბილისში ამ ჟამად ურიგებს პურს და სხვა სანოვაგეს მომარაგების ფონდიდან 26,800 მუშასა და მოსამსახურეს. ხოლო იგი 64,841 ულუფას არიგებს.

### დამფუძნებელ კრებაში

— დამფუძნებელ კრებაში ფინანსთა სამინისტრომ შეიტანა დამფუძნებელ კრებაში 1920—21 წ. სახელმწიფოს შემოსავალ გასავლის პროექტი.

### ერობებში.

— სეჯრომლო ცხოვრება, ახალციხე ოქტომბრის 25 ახალციხის სამაზრო ერობამ იყიდა სახერხი ქარხანა 1.800,000 მანეთად. ქარხანა ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას. სამაზრო ერობა ამ ჟამად მუშაობს ო ჯოთ-აბასთუმან-ახალციხეს შუა მიმოსვლის გაუმჯობესებლად.

— გორი. ოქტომბრის 27 გორის სამაზრო ერობამ დაამტკიცა ატენის თემის დადგენილება საშკოლო საქმის სა ჭიროებისათვის ფულის შეკრების შესახებ. გადაწყვეტილია ატენის თემში ამ საქმისთვის შეაგროვონ 673,7000 მანეთი.

— გორის სამაზრო ერობამ დაადგინა აიღოს გორის მაზრის მთები საექსპლოატაციოდ და გადაიდვა ნახევარი მილიონი მანეთი კვლევა ძიებისათვის. ამ საქმის ხელმძღვანელობა ტეხნიკურ კომისიის მიენდო.

— ქუთაისი ოქტომბრის 30 ქუთაისის ერობამ შუამდგომლობა აღძრა მიწად მოქმედების სამინისტროს წინაშე რომ გადაეცეს მას ქუთაისის მაზრაში სოფლის გადასახადების გაყიდვიდან შემოსული ფულის ორი მეხუთედი. ეს ფული და ხარჯება არხების გაყვანაზე, ტბების ამოსაშრობათ და სხ. გადაწყდა აგრეთვე, რომ ამ საქმისთვის 150 მილ. მან. გამოითხოვონ.

— ქართული დრამა: სახელმწიფო დრამის თეატრში დღეს ხელმეორედ წარმოდგენილი იქნება დ. კლდიაშვილის პიესები: „დარისპანის გასაჭირი“ და „ირინეს ბედნიერება“ ახალი დეკორაციებით, ტანისამოსითა და მიზანსცენებით. დასდგამს რეჟისორი აკ. ფალავა.

— მასწავლებელთა შორის. ორშაბათს 8 ნოემბ. ს. ღ. 6 საათ. ქალთა 1 გიმნაზიის შენობაში დანიშნულია საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირის წევრთა საზოგადო კრება. განსახილველია: 1) მოხსენება კონფერენციის დადგენილების შესახებ.

2) შკ. ყველა ტიპის სასწ. მასწ. კავშირების გაერთიანება.

3) ანგარიში გამგეობის მოქმედების შესახებ სარევიზიო კომისიის დასკვნით.

## სააქციზო გადასახადთა შეცვლა.

სავაჭრო სამრეწველო პალატამ ოქტომბრის 27 სხდომაზე ფინანსთა მინისტრის საბჭოს დადგენილების თანახმად განიხილა აქციზის გადასახადის საკითხი არსებულ საბაზრო ფასებთან შეფარდებით.

სავაჭრო სამრეწველო პალატამ სხდომაზე დაადგინა შემდეგი სააქციზო გადასახადები, რომლებიც დაყოფილია 5 ჯგუფათ. 1) 1 ჯგუფზე დადგენილია 10 პროც. სააქციზო გადასახადი) ჩაის—ფასი 480 მ., აქციზი 48 მ., შაქარი 6.000 მან. ფ. აქციზი 600 მ.), 2) მეორე ჯგუფი 15 პროც. აქც. გადახ. ასანთი 4.000 მ. ათას კოლოფში, აქციზი 600 მ., ნავთი 100 მ. ფუთი, აქციზი 15 მ. 3) მესამე ჯგუფი 20 პროც. აქც. გადახ. (ყურძნის ღვინო 1.000 მ. ვედრო, აქციზი 200 მ. ლუდი 750 მ. ფ. აქციზი 150 მ., ჭაჭა და მისგან გამოსული სპირტი 600—აქციზი 12 მ. ყოველ გრადუსზე. 4) მეოთხე ჯგუფი—30 პროც. გადასახადი. (პაპიროსის ქაღალდის წიგნაკი 6 მან.-აქციზი 1 მ. 80 კ., პაპიროზის გილზი, კოლოფი 250 ცალით 75 მ., აქციზი 22 მ. 50 კ. პურის სპირტი და პურის არაყი 100 გრადუსი-აქციზი 30 მანეთი ყოველ გრადუსზე, კონიაკი და კონიაკის სპირტი 60 გრად. აქციზი 18 მან. ყოველ გრადუსზე, შამპანიური 16.000 ვედრო, ბოთლი 1.000 მ. აქციზი 300 მან. ბოთლიდან ლიქორები, ტკბილი ღვინოები მადერა, ხერესი და სხვ. 1600 მ. ვედრო, აქციზი 480 გ. ვედროზე. 5 მეხუთე ჯგუფი 50 ფ. აქც. გადახ. თუთუნი 320 მან. გირ. აქციზი 160 მან. პაპიროსი 800 მან ათასი ცალი, აქციზი 400 მან. არაყის ნაწარმოები 8,000 მ. ვედრო აქციზი 4,000 მ. ვედროზე გადასახადთა გადასინჯვის დამთავრების შემდეგ პალატამ გამოსთქვა სურვილი შეამცირონ კონიაკის სიმაგრე, როგორც ეს საზღვარ გარეთაა მიღებული 38 გრადუსამდე. ამასთანავე გამოითქვა სურვილი მოეხსნას ბაჟი საზღვარ გარეთ გასატან კონიაკს, ღვინოს და თუთუნს რომ ამით ხელი შეუწყონ წარმოების ამ დარგის განვითარებას.

(ს. დ. ს.).

## პატარა ფელეტონი

ნ. აზიანი.

### ბობოლას მონოლოგი.

ბობოლა (სადილს უკან, მხიარულ გუნებით მიუჯდება აგუზგუზებულ ბუხარს, თან პაპიროზსა სწევს) ი...ოფ, ახლა კი მესმის რისთვისაც ებღაუჭებოდნენ თავად ბურჟუა ამ კეთილ ცხოვრებას! ღირს, ღმერთმანი, ღირს ბრძოლა ამისთვისა (ბოლს უშვებს პაპიროზიდან და კრესლოში გადაწოლილი, სიამოვნების ღიმილით უცქერის ცეცხლის ალს, მერე გაზეთებს აიღებს)

ღწლიური ანგარიში შესახებ იმ ქვეყნისა, რომელიც მას აქვს მინდობილი.

უკეთუ სივრცე ძალა უფლებისა, კონტროლისა თუ მმართველობისა, რომელსაც ახორციელებს მანდატერი, არ ყოფილა საგანი უწინდელი შეთანხმებისა ლიგის წევრთა შორის, საბჭომ უნდა მიიღოს გადაჭრილი დადგენილებანი ამ მუხლების შესახებ.

ერთს მუდმივ კომისსიას დაევალება მიღება და განხილვა მანდატორთა ყოველწლიური ანგარიშებისა და წარდგენა საბჭოში თავისი დასკვნისა შესახებ მანდატის ასრულების ყოველი საკითხისა.

### საერთაშორისო მმართველობა.

მუხ 23.— თანახმად საერთაშორისო შეთანხმებათა დადგენილებისა, რომელნიც ეხლა არსებობენ ან მომავალში იქნებიან დადებულნი, წევრნი ლიგისანი:

ა) ეცდებიან უზრუნველჰყონ და დაიცვან შრომის სამართლიანი და ადამიანური პირობანი კაცისა, დედაკაცისა და ბავშვებისათვის თავიანთ საკუთარ ტერიტორიაზე ისე, როგორც ყველა ქვეყნებში, სადაც ასე ვრცელდება მათი სავაჭრო და სამრეწველო განწყობილება, და ამ მიზნით მოაწყონ და შეინახონ საჭირო საერთაშორისო ორგანიზაციები.

ბ) ჰკისრულობენ უზრუნველჰყონ სამართლიანი მობყრობა ადგილობრივი მცხოვრებთა მიმართ იმ ქვეყნებში, რომლებიც მათ მართველობას ემორჩილებიან.

გ) ავალებენ ლიგას საზოგადო კონტროლს შეთანხმებას შესახებ ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობისა, და შესახებ ოპიუმის და სხვა მავნე წამლების აღებ მიცემობისა.

დ) ავალებს ლიგას იარაღით და სამხედრო მასალით ვაჭრობის საზოგადო კონტროლს იმ ქვეყნებში, სადაც კონტროლი ამ ვაჭრობისა აუცილებელია საერთო ინტერესისათვის; ე) მოახდენენ სავაჭრო განკარგულებებს, რათა უზრუნველ ჰყონ და დაიცვან თავისუფლება მიმოსვლისა და ტრანზიტისა, აგრეთვე სამართლიანი წესი ვაჭრობისა ლიგის ყველა წევრთათვის, იქონიებენ რა მხედველობაში განსაკუთრებულ გასაჭირს იმ მხარეებისა, რომლებიც განადგურებულ იყვნენ 1914—1918 წლის ომის დროს.

3) შეეცდებიან მიიღონ ზომები საერთაშორისო ხასიათისა ავადმყოფობის ასაცილებლად და მასთან საბრძოლველად.

### საერთაშორისო ბიურონი.

მუხ. 24. ყველა საერთაშორისო ბიურონი, დაწესებულნი წინედ კოლლექტიური შეთანხმებით, თუ დაინტერესებული მხარენი თანახმანი არიან, მოქცეულნი იქნებიან ლიგის ბრძანებლობის ქვეშ. ყველა სხვა საერთაშორისო ბიურონი და ყველა კომისსიები, რომლებიც საერთაშორისო ინტერესის საქმეთა მოსაწესრიგებლად იქნებიან შემდეგში შექმნილნი, დაექვემდებარებიან ლიგის ბრძანებლობას.

შესახებ ყოველი საკითხისა, რომელსაც აქვს საერთაშორისო ინტერესი და გადაწყვეტილია საერთო შეთანხმებით, მაგრამ არ ექვემდებარება კომისიების თუ საერთაშორისო ბიუროთა კონტროლს, ლიგის სეკრეტარიატი ვალდებულია, თუ მხარენი მას მოითხოვენ და საბჭოც თანახმაა, მოაგროვოს და დაურიგოს ყოველი სასარგებლო ცნობანი და აღმოუჩინოს მათ ყოველი საჭირო ან სასურველი დახმარება.

საბჭოს შეუძლიან გადაწყვიტოს და შეატანინოს კომისარიატის ხარჯში ხარჯი ყოველი ბიუროსი თუ კომისსიისა, რომელიც კი მოქცეულია ლიგის ბრძანებლობის ქვეშ.

### წითელი ჯვარი.

მუხ 25 ლიგის წევრნი ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ და დახმარონ დაწესებულებას და თანამშრომლობის წითელი ჯვრის, წესისამებრ ნებადართული თავისუფალი ეროვნული ორგანიზაციებისას, რომელთაც მიზნათ აქვსთ გაუმჯობესობა ჯანმთელობისა, წინასწარი თავის დაცვა ავადმყოფობის წინააღმდეგ და შემსუბუქება ტანჯვისა ქვეყნიერებაში.

### რევიზია.

მუხ. 26 შესწორებანი ამ ხელშეკრულებისა ძალაში შედიან შემდეგ მათი რატიფიკაციისა ლიგის იმ წევრთა მიერ, რომელთა წარმომადგენელნი შეადგენენ საბჭოს, და იმ წევრთა უმრავლესობის მიერ, რომელთა წარმომადგენელნი შეადგენენ ყრილობას.

ყოველი წევრი ლიგისა თავისუფალია არ მიიღოს შემოტანილი შესწორებითი ხელშეკრულებისა, რომელ შემთხვევაში ის გამოდის ლიგიდან.

### დამატება.

პირვანდელი წევრნი ერთა ლიგისა, ხელის მომწერნი საზავო ხელშეკრულებისა:

შეერთებული შტატები ამერიკისა.

| | |
|---|---|
| ბელგია | ჰაიტი |
| ბოლივია | ჰერაცი |
| ბრაზილია | ჰონდურასი |
| ბრიტანეთი | იტალია |
| კანადა | იაპონია |
| ავსტრალია | ლიბერია |
| სამხრეთ აფრიკა | ნიკარაგუა |
| ახალი ზელანდია | პანამა |
| ინდოეთი | პერუ |
| ჩინეთი | პოლონეთი |
| კუბა | პორტუგალია |
| ეკვატორი | რუმინია |
| საფრანგეთი | სერბია |
| საბერძნეთი | სიამი |
| გვატემალა | ჩეხო სლოვაკეთი |
| | ურაგვაი. |

მიწვეულნი არიან:

| | |
|---|---|
| არგენტინა | ჰოლანდია |
| ჩილი | სპარსეთი |
| კოლომბია | სალვადორი |
| დანია | შვეცია |
| ისპანია | შვეიცარია |
| ნორვეგია | ვენეცუელა |
| პარაგვაი | |

პირველი მთავარი მდივანი ერთა ლიგის: ჯემს ერიკ დრუმონდი.

### შეცდომების გასწორება.

წინანდელ ფელეტონში იხ. „საქართველო“ს № 624 („ხელშეკრულება ერთა ლიგისა“) შემდეგი შეცდომებია: მე-4 მუხლის ბოლოში დაბეჭდილია: „შეუძლიან იგი გამოგზავნოს“ უნდა იყოს: „იქ გამოგზავნოს“.

იქვე: „როცა რომელიმე საკითხი, როგორც...“ უნდა იყოს: „საკითხი, რომელიც...“.

მე 7 მუხლის წინ დაბეჭდილია: „ბინადრობა და ხელშეკრულობა“. უნდა იყოს: „ბინადრობა და ხელშეუხებლობა“.

მე 2, 4 და 11 მუხლებში დაბეჭდილია სიტყვა „საზოგადოების“. ეს ტერმინი ყოველგან გამოცვლილი უნდა იყოს სიტყვით „ლიგის“.

ვნახოთ, მართლა, რასა სწერენ ეს ჩვენი ,,ჭკუის კოლოფები''?.. (,,ერთობას'' იქით გადასდებს) ეს თუ არ წავიკითხე, ისე კი არ ვიცი ზეპირათ ჩვენი დირექტივები და ,,გან''-ის მიერ გადაღეჭილი ჩვენი აზრები... ეს, такъ сказать, რაც წინად ,,პრავიტელსტვენნი ვესტნიკი'' იყო (ილებს დანარჩენ გაზეთებს ათვალიერებს, მერე ხელიდან გააგდებს და-ნერვიულათ) კაცო რა გაუხდათ ი ვილაც ამირბარია, თუ ჯანაბა?! რა ამბავი ჩააგდეს იმის ბინას გულისთვის?! ამ ,,ისტორიამ'' მენშევიკების ცხოვრებაში ლამის ისეთივე საბედისწერო როლი ითამაშოს, რაც მარია ანტუანეტას ,,ოჟერელიემ'' საფრანგეთის რევოლიუციაში და რასპუტინმა—რუსეთის გადატრიალებაში! ამისთანეები გაგვიგდია სამსახურიდან და ბინიდან, რომ ხმა არავის ამოუღია!

რა ,,წითელი კაკა'' გაუხდათო, რალა ამისთვის ვამოიდეს თავი მაშ რა ეგონათ: ვილაც ამირბარის თვის კვაჭანტირაძეს მოვიმდურებდით ამ ცივ ზამთარში?! ,,ტუტუც, ტუტუც ბარბარეო, გვერდზე ბაგა ჩაყარეო!''—ი თქვენი ამირბარიც რომ ჭკვიანი ყოფილიყო, ხომ დაჰყაბულდები და კვაჭანტირაძეს პირობას! ურიგოა მთელი წლის ,,ზაპასი'' შეჰა?... არა, როგორმე უნდა მოვაგვაროთ ეს საქმე, თორე... казенный лѣсъ казенный лѣсъ, попуталъ всѣхъ ты насъ, какъ бѣсъ! (შემოდის მოსამსახურე).

**მოსამსახურე.** შოფერმა: კიდევ მოვიცადოვო?... ორი საათია აქა დგა...

**ზოზოლა** მოიცადოს, რა ეხარჯება. (მოსამსახურე გადის). მამა უცხონდება, ერთი ორათ ვერ წარმოუდგენს სახელმწიფოს ბენზინის ხარჯსა, მე შენ გითხრა! რის ,,ეკონომიური თათბირი'', რა ,,ეკონომიური თათბირი'', როცა შოფერებიც კი ამისთანა ყაჩაღები გვყავს?! ,,თბილისის გაწმენდაო''... ხმ! ჩვენ კი გვჯერა ეგ წამალი?.., საიდან გასწმენდავ, როცა კომისრებს თუ სხვა მოხელეებს უცხო ქალებში დუშკები'' ჰყავთ? (მეტადრე ურიის გოგოებისთვის სცვივათ სული მაგ ოხრებს!)—ახლა ი ,,დუშკებსაც'' მისადევარ—მოსადევარი ჰყავთ თუ არა?!... ჰყავთ და მერე რა მამალი სპეკულიანტები, მაგრამ იმათ ხელს ვინ ახლებს?.. ხმა გაეცი და, მგონი, თბილისი აქეთ დაგრჩეს! (ამოიოხრებს) ე...ეხ! მაინც ოპოზიცია გვიწერს და გვიწერს და ჯანაბას! ერთი მეფის თქმისა არ იყვეს,— ,,послѣ меня хоть потопъ''! ნეტა ერთი კი გავასწრო საზღვარ გარეთ გასვლა და... არ ვიცი, აფრიკაში გვყავს თუ არა წარმომადგენელი?... (დაფიქრდება რო აღარც ,,სამშობლოს სიყვარული'' სჯრის და აღარც მუქარა? მა სწავლებლებმაც კი ხმა ამოიღეს და ფეხი წამოყვეს—,,მეც ნახირ-ნახირო!'' აქ მუშები ვიცით, როგორ დავაშოშმინოთ და ისინი უარესათ (ცეცხლზე ნავთს გვისხამენ!... რკინის გზელებიო, ფარმაცევტებიო... ყველა უმედურობა ერთბაშათ დაგვატყდა თავს!.. ,,თქვენი და ნაპირები გაანაღდეთო, ნახევრათ მაინც გაანაღდეთო'' ბიჭოს!.. ძალიან კარგი, მაგრამ რითი, რა ,,სუმით,'' გავინაღდოთ! წადით და მოძებნეთ რუსეთის შემდეგ დატოვებული სიმდიდრე და სხვა ათასი, რაც თქვენ ჯერ არც კი იცით! ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ ჩვენც იმ ერთ მეფსეებ სულ იმის ნატვრაში არ ვიყვეთ, რომ ყოველ ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომს სუფრაზე მსუქანი ქათამი ჰქონდეს, მაგრამ რა უყოთ, რა წყალში ჩავარდეთ, რომ კრუხები მაგდენ წიწილებს არა სჩეკენ, რომ ყველას გასწვდეს?.. ცოტა ,,პრიკაზები'' გამოვეცით პურის გასაუმჯობესებლათ, მაგრამ რა ვქნათ, რომ სანამ ე პური თქვენამდინ მოგორდება, გზაში ქვეყნის ტალახს იკრავს და ვის არ გინდა აჭუჭყიანებს?... ე...ეხ, წავიდე, ცოტა ხანს წამოვწვე (ზარს დაჰკრავს. შემოდის მოსამსახურე) შოფერს უთხარი: ფეხი არსად მოიცვალოს, მომიცადოს....

## არც აქით, არც იქით!

„ერთობა"-მ დევდარიანს .[illegible] დევდარიანმა დიქტატურისათვის ბევრი კალმები დალეწა, მაგრამ „ერთობა" უკანასკნელ ნომრის მოწინავეში ამ დიქტატურას უმცირესობის დიქტატურად ალიარებს; „დღეს აღარ გვინდა უმცირესობის დიქტატურაზევე ავიშენოთ ახალი საზოგადოება, თუნდაც ამას უწოდონ დიქტატურა პროლეტარიატისა".

„ერთობელები" ჭკუაზე მოსულან. თვით მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა ეკონომიურ თათბირზე, რომ ერის სახელმწიფოებრივ ელემენტს წარმოადგენს მსხვილი ბურჟუაზია და პროლეტარიატი. თუმც პროლეტარიატის მიერ აშენებული სახელმწიფო ისტორიამ არ იცის, და ევროპის სახელმწიფონი ყველა ბურჟუაზიის აშენებულია,—მისი შექმნილია აწინდელი სახელმწიფო სამართალი და კონსტიტუცია, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენში პროლეტარიატი მაინც მცირერიცხოვანია. ცხრა მეათედს ჩვენი ერისას შეადგენს სოფლელი გლეხი მესაკუთრე, ე'—მთავრობის თავმჯდომარის აზრით—არა სახელმწიფოებრივი ელემენტი. მაშასადამე პროლეტარიატი ჩვენში მთელი ერის მეათედზე ნაკლებია, და ამ უმცირესობის დიქტატურას ნატრობდა ბ. დევდარიანი.

დღეს „ერთობა" კომუნისტებს ეკამათება და დიქტატურაზე მტკიცე უარს ამბობს, მაგრამ მაინც ვერ გაურკვევია საით გაექანოს: „რევოლიუცია, თუ რეფორმა", ცოტა ერთიც და ცოტა მეორეც; არც მწვადი დაიწვას, არც შამფური; არც ცხელი იყოს, არც ცივი,—ნელთბილი, რომ მენშევიკებს არ აწყინოს...

„ჩვენ მოვახდინეთ, სწერს „ერთობა" —რევოლიუცია ფეოდალური საკუთრების და ფეოდალური სახელმწიფოს გასანადგურებლათ... ძველ სახელმწიფოს და საზოგადოების ნანგრევებზე ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი საზოგადოება და სახელმწიფო, რომელშიაც გაბატონებული იქნება მთელი ხალხი".

ფეოდალიზმი ჩვენში დაანგრია რუსეთის მთავრობამ და ამაში ჩვენს მენშევიკებს არავითარი სამსახური არ მიუძღვისთ, ხოლო რუსეთის იმპერია დაანგრია გერმანიამ, და მენშევიკებს მათი სურვილის და პროგრამის წინააღმდეგ წილად ხვდა საქართველოს სახელმწიფოს აშენება; მაგრამ დავიჯეროთ, რომ მათ დაანგრიეს ფეოდალიზმი. საკითხავია, რა უნდა მოჰყვეს ამას.

ისტორიულ მეცნიერებამ მოკლედ იცის, რომ ფეოდალიზმის მომსპობ რევოლიუციას უნდა მოჰყვეს ბურჟუაზიული წესწყობილების დამყარება, ე. ი. კერძო საკუთრების ინსტიტუტის განმტკიცება, მოქალაქის თავისუფლება მოქალაქობრივი და პოლიტიკური, და კერძო ინიციატივისათვის ფართო ასპარეზი ვაჭრობ-მრეწველობის გასაძლიერებლად, ქვეყნის გამდიდრებისათვის.

„ერთობა" კი გაიძახის: „რევოლიუცია და რეფორმა"!

რეფორმა ჩვენ ჯერ არ გვინახავს,— რუსეთის ბიუროკრატიზმი სუფევს ჯერჯერობით ჩვენში, თავისი ყველა საძაგელი შედეგებით, ხოლო „რევოლიუციის" ექსცესები დღემდე ქვეყანას ანადგურებს თავისი რეკვიზიციებით, საკუთრების იძულებით ჩამორთმევით. ამას ზედ ერთვის სოფლებში „რევოლიუციური" კოლლექტივები, ქალაქებში პროფესიული კავშირები და მთელს საქართველოში წითელი გვარდია. ამ დაუსრულებელ „რევოლიუციამ" ქვეყანა უფსკრულამდე მიიყვანა, როგორც ეხლა მენშევიკებმა აღიარეს თავიანთ ეკონომიურ თათბირზე...

დოცემუს.

## სენატში.

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საჯარო სხდომაზე 1920 წლ. ნოემბრის 5 განსახილველად დანიშნული საქმეთა ნუსხა:

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1) საქმე ქალ. ბათუმის „ევროპიულ სანავთო კომპანიისთან" და „ა. მ. ლიანოზოვის შვილები'' ამხანაგობასთან მამულის განთავისუფლების თაობაზე.

2) საქმე სავაჭრო სახლის „სოერი მენიკის" სალიკვიდაციო კომისიის თეოდორე მორომოვთან 1655 მან. 45 კ. თაობაზე,

3) საქმე ლუკა და სამსონ ტყეშელაშვილების ფილოსია ტყეშელაშვილთან მამულის თაობაზე.

4) საქმე დონიკა ტაბატაძისა პეტრე და ილია ტაბატაძეებთან 1300 მან. თაობაზე.

5) საქმე ალექსი პახუაშვილის საჯარო ... ქვარიანთან შედგარ სარბიტრო განჩინების სისრულეში მოყვანის თაობაზე.

6) საქმე ილისაბედ ვონინოვის დავით გოდევანოვთან 1750 მან. თაობაზე.

7) საქმე გაბრიელ ხუნაშვილის თედო ბარნაბაშვილთან და ჭკოლა ხუნაშვილთან ავეჯეულების დაბრუნების თაობაზე.

8) საქმე ზუგდიდის სამურზაყანოს რაიონის კოოპერატივთა კავშირის „სახალხო საქმის" გამგეობისა კინტირია ლუკავასთან სახლის ლაცლის და ქირის თაობაზე.

## ილია წინამძღვრიშვილის სახელობის ფონდის დაარსების გამო.

ჩვენ ქართველებს გვჩვევია აღფრთოვანება პირველ ხანებში და მერე ქართველური უყურადღებობა. ამისთვის სიამოვნებით წავიკითხე კომიტეტის მოწოდება ილიას ფონდის დაარსების შესახებ და სურვილი დამებადა ჩემი გულის ნადები ყველას გაუზიარო.

ილია წინამძღვრიშვილი ჩვეულებრივი მოკვდავი არ იყო. ეს შეიძლება ერთად ერთი ქართველი იყო, რომელმაც სამშობლოს ბედნიერებისათვის ყველაფერი (თვით თავისთავიც) გასწირა. ეს მცირედი. ეს ის შორსმჭვრეტი ადამიანი იყო, რომელმაც იმ დროს აიღო ალღო სამეურნეო სწავლის საჭიროებისა, როცა ბევრს სიტყვა ,,სამეურნეო'' მეურმობა ეგონათ. (ეს ანეგდოტად არავინ მიიღოს, ფაქტია). ილია ის წინ წახედული ადამიანი იყო, რომელმაც თავის სკოლას უფლებები არ მისცა; რაარის სწავლის გათავების შემდეგ მისი დაზდილი მოწაფეები ,,ჩინოვნიკებად'' არ გაიქცნენ, ძალა უნებლიეთ მიწას მიეკოწიწონ. ილია ის წრფელი ქართველი იყო, რომელმაც ქართულ ენას ფართო ადგილი დაათმობინა სასწავლებელში. იგი ის გულმაგარი და მტკიცე პრინციპების ადამიანი იყო, რომელიც არ შეუშინდა უთვალავ დაბრკოლებებს, რომელსაც უქმნიდნენ თვით ჩვენივე თანამემამულენი. ოდესღაც კოპწია, პეწენიკი ახალგაზდა, რომელიც ფეხით გავლას არ კადრულობდა, ილია სკოლის დაარსების შემდეგ ივიწყებს თავის ახალგაზდულ მიდრეკილებათ და სხვისი შვილისათვის ერთი ორი ზედმეტი რვეულის საყიდლად შაურის გადარჩენის სურვილით თბილისის ქვიან ქუჩებზე ქალაქის ერთ კუთხიდან მეორემდე ფეხით დაიარებოდა. ეს ის უცნაური ადამიანი იყო, რომელმაც სკოლის სიყვარულით გადალახა ყოველი ფიზიკური დაბრკოლებანიც და ავჭალიდან ზედაზნის მთაზე ფეხით მიდიოდა თავის სანუკვარ სასწავლებლის სანახავად. არ იცოდა ამ სულმნათმა არც წვიმა, არც თოვლი, არც ჭყაპი. მე პირადად ბედნიერება მხვდა მის სასწავლებელში მასწავლებლად ვყოფილიყავ და სინიდისის ქვეშ ვამბობ: არ მახსოვს არც ერთი შაბათი, რომ ილია არ მოვლენილიყო წინამძღვრიანთ კარში რა გინდ ცუდი დარიც არ ყოფილიყო. მე აღარ შევეხები იმ ყურადღებას, რომლითაც ის ეპყრობოდა თავის მოწაფეებსა, ამას ალბათ ისინი თვითონაც აღნიშნავენ. ვიტყვი მხოლოდ ერთს, რომ ბავშვის ზრდას ის ფეხდაფეხ მისდევდა და ალბათ იმით აიხსნება, რომ ამისთანა პატარა და თითქმის ერთ ადამიანის ანაბრად დატოვებულმა სასწავლებელმა ჩვენ სამშობლოს გაცილებით მეტი, სასარგებლოდ შეგნებული მუშაკები მისცა, ვიდრე მოუცია რომელიმე სახელმწიფო გიმნაზიას. მან შექმნა მთელი პლეადა ფრიად მომზადებულ მეურნეთა, როგორებიც, მეგალითად, არიან: ს. ხუნდაძე, თ. მეგრელიშვილი, თარხნიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, კ. გოგიბედაშვილი, ი. მინდორაძე და მრავალი სხვანი. მე აღარ დავასახელებ ყველა იმ მასწავლებლთ, რომელთაც ამ სკოლაში მუშაობის დროს შეუყვარეს მეურნეობა და თვით შეუდგნენ ამ დარგის შესწავლას. საკმარისია მოვაგონო ჩვენ საზოგადოებას ერთი-ორი, როგორებიც არიან ჟურნალისტი მ. ადამაშვილი, მეურნენი: კ. ბერეკაშვილი, ე. ნაკაშიძე, იყო დეკანოზი ჯელაშვილი, კანდელაკი და სხვანი. ერთის სიტყვით ის ფაქიზი მშობელი იყო თავის პირმშო შვილისა—სასწავლებლისა, რომელიც ცივ ნიავს არ აკარებდა მას. როგორ შეეძლო ვისმეს ავათ ხსენება სკოლისა და ან შეხებოდა მის საყვარელ სამშობლოს!? მის დასახიასეთებლად მომყავს ერთი საინტერესო ფაქტი. ჩვენ საზოგადოებას ეხსომება სკოლების დირექტორი დარსკი, რომელმაც თავისი ხელით მიღურსმა სომხეთის სამინისტრო სკოლები. ამ დარსკიმ, წინამძღვრიანთკარში სარევიზიოთ ყოფნის დროს ფერმაში, მუხებ ქვეშ, სადაც ილია მას სადილით უმასპინძლდებოდა, ბაასის დროს ავათ ახსენა საქართველო. სიტყვას სიტყვა მოყვა და ეს იშვიათი ადამიანი, როგორიც იყო ილია, იქამდე გახელდა, რომ დარსკი მუხებ ქვეშ კარგად დაბუშნა.

მართალია, ჩვენ საზოგადოებაში თითქოს ისეთი შეხედულება დამყარდა, რომ ყველაზე უწინარეს მოღვაწეთ თვლიან მწერალს,—პოეტს, თუ ჟურნალისტს, მაგრამ, ჩემის უმეცრებით, მე მინდა გავაკადნიერდე და ვთქვა, რომ ილია წინამძღვრიშვილისთანა თავდადებული და თავგანწირული მომაგე ბევრი არ ჰყოლია საქართველოს, ტალანტი ღვთის მოცემული, ზეგარდმო მადლით ცხებულნი თუ სწერენ და გვატკბობენ თავიანთ ჰანგებით, ეს ხშირად მათი ცხოვრების წყაროც არის ხოლმე, ილია კი ყველაფერს თვითონ იკლებდა, დიდის ტანჯვით იკვლევდა ეკლიან გზას და ერის ბედნიერებით გატაცებულს არა სიმდიდრე ქვეშ არ ჩაუჩოქნია. მან თავისავე ნაღვაწით შექმნა ხელთუქმნელი ძეგლი, იგი ისედაც უკვდავია ქართველ ერისათვის, მისი პატიოსანი სახელი ღრმად ამოჭრილი იყო ყველა ქართ. გულში, მაგრამ კომიტეტის განზრახვა ფონდის დაარსების შესახებ მაინც ძალიან მახარებს, რადგან ამას ჩვენთვისვე ექნება აღმზრდელობითი ხასიათი. ამისათვის მე მგონია, ილიას სახსოვრად და ნიშნად ულრმეს პატივის ცემისა მართლა საგანგებო რამ უნდა მოახდინოს კომიტეტმა, რომ ... ნიუჩი არა გამოვიდეს რ. ... მხრით გავშედავდი ამ კეთილ საქმისათვის ვწირავ 500 მან.; ჩემ სიღარიბეს არ დაეძრახვის ეს წვლილი მისი მომეტებულად, რომ სულით და გულით მოძღვნილია.

დ. დავ თაშვილი.

## ჩვენი კორესპონდენციები

### ცხინვალი.

ვინ არ იცის რამდენი ვაი ვაგლახი არ გადახდა ცხინვალს ამ რევოლიუციის დროს, რამდენი დარბევა და ცარცვა-გლეჯა. უპატრონოს, განადგურებულს უბრალო სოფელსაც ვეღარ დაადარებთ. სამარისებული სიჩუმე, განათლებას მოკლებული. სანიტარულის მხრივ ხომ მეტია ლაპარაკი, გზები, გორზე თუ ქარელზე ღმერთმა შეინახოს — არ გაირჩევა სარწყავ არხიდან. სამკითხველო თაგვების ბუდედ გადაქცეულა.

გარშემო სოფლებში ხალხი გაფაციცებით მუშაობს, ვინ თავისას და ვინ დარბეულ ოსებისას.

სამაზრო ერობის გამგეობის წევრთ გორში მოუკალათებიათ და თუ რა ხდება მათ გარშემო—სოფლებში არც კი აინტერესებთ.

ცხინვალის ერობას სრული ავტონომია აქვს მინიჭებული. გამგეობაში საქმის საუკეთესო მცოდნენი და ყველა დარგის პირები არიან მოქცეულნი. დურგალი, დალაქი, ხარაზი, მებაღე და მღვდელი. ყველანი თავის მოვალეობას მტკიცეთ ასრულებენ. თუ გაგიჭირდათ რამე და საქმეზე გამგეობის წევრმა შესაფერი პასუხი ვერ მოგცათ, გეტყვით: ,,ნუ გეწყინებათ თუ თქვენს თხოვნას ვერ ვაკმაყოფილებ, ჩემი ხელობა დურგლობააო, მიბრძანდით ამხანაგთანაო''. ამხანაგიც გეტყვით ,,უკაცრავად ჩემი ხელობა, ხარაზობააო''. მესამე, მეორე და თვით მეხუთეც ამას გეტყვით და ამნაირათ ვერავითარ ცნობას ვერ მიიღებთ. როგორიც ერიო, ისეთი მღვდელიო ნათქვამია.—მომარაგების სამინისტროსაც თავის რწმუნებულად აქ ასეთივე პირი გამოუგზავნია.. რწმუნებულ კუპრაძეს დავალებული აქვს პურის შეძენა ამ რაიონში და თვალყურის დევნება, რომ ნებადაურთველად ხორბალი არავინ გაიტანოს. ის დილიდან საღამომდის ცხინვალის ქვაფენილს სტკეპნის. ცხინვალში ყოველ დღე აუარებელი ოსები იყრიან თავს რწმუნებულ აგენტის სასახლის წინ, უკანასკნელს მინდობილი აქვს ოსების მამულებზე დასახლების საქმე. ოსები თხოულობენ უკან დაბრუნებას. უმრავლესობას ეძლევათ ნება ცხოვრებისა და უბრუნდებიან თავიანთ სახლ კარს.

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი უწმ. ლეონიდე აქეთაც ბრძანდებოდა. დაიარა თითქმის ყველა სოფლები და ეკლესიები, ყველგან ხალხს გრძნობიერ სიტყვას ეუბნებოდა სარწმუნოებაზე და მომენტზე.

ხილი ცხინვალის რაიონში წრეულ აუარებელია. ვინაიდგან სხვა გარეშე ბაყლები წრეულს აქეთ არ მოსულან ადგილობრივ ურიებს დარჩათ ბურთი და მოედანი. საუკეთესო ჯურის ვაშლში აძლევენ არა უმეტეს 250 მან. 450 მანეთამდე—ფუთში.

სკოლების მდგომარეობა სატირალია. ბევრგან ჯერ სწავლა არ დაწყებულა, სამოსწავლო ნივთები არ იშოვება, არ არიან მასწავლებლებიც. აქაურ ერობას ზოგიერთ სოფლებში დაუნიშნია მასწავლებლად სრულიად უვიცნი, გამოუცდელნი მეოთხე კლასის მოწაფენი, ბევრგან უკმაყოფილება გამოსთქვეს ერობის მიერ ასეთ მასწავლებლების დანიშვნაზე.

ვეფხვი.

## თერჯოლის თემი.

ერთი თვეა, რაც აქ შესცვალეს ძველი გამგეობის წევრნი და მათ ნაცვლად ახალი აირჩიეს. არჩეული არიან სოციალდემოკრატების მხრივ თავმჯდომარედ ვ. მაკარაძე და მდივნად ნესტორ ერგემლიძე. ჩვენმა ფრაქციამ (ერ. დემ. პარტ.-მ) გაიყვანა თავმჯდომარის ამხანაგად მათე მაკარიძე. მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატები დიდი წინააღმდეგი იყვნენ გამგეობაში მათე მაკარიძის გაყვანისა, ჩვენმა ფრაქციამ მაინც შესძლო მისი გაყვანა. ეროვნულ-დემოკრატების თემის ხმოსნები არც ისე დაცემული არიან რომ უუმრავლესო მონებივით დაემორჩილონ სოციალ.-დემოკრატებს ყოველივე საკითხში, და მათ გემოვნებაზე იარონ, სიმართლე უნდა ითქვას, რომ ახალი გამგეობის წევრნი თუ მუშაობას არ დაიზარებენ ბევრს საქმეს გააკეთებენ. მათი მოქმედება არ უნდა იყოს შეზღუდული მარტო ქაღალდების ხელის მოწერაზე და ადგილობრივ საჩივრების გარჩევაზე. ჩემის აზრით მათი მოქმედება უნდა უფრო ფართედ გაიშალოს-ხელი უნდა მიყონ აღებმიცემობას, გაჩაღონ ვაჭრობა-მრეწველობა, აღმოაჩინონ სხვა-და სხვა წყაროები და ათას გვარ გაჭირვებაში მყოფ მოქალაქეს ამით აღმოუჩინონ დახმარება, გადასახადის გადახდევინების ნაცვლად მაინც შეუმსუბუქონ ცოტათი ტვირთი..

5 ენკენისთვეს თერჯოლაში დაარსდა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, რაც დიდათ სასარგებლოა თვითეული თემის მცხოვრებისთვის. მის დაარსებაში დიდი წვლილი მიუძღვის თერჯოლის დრამატიულ საზოგადოებას, რომელმაც საღამოს გამართვით და წმინდა შემოსავლის გადაცემით ხელი შეუწყო ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების დაარსებას. აგრეთვე მადლობის ღირსია მათე მაკარიძეც რომლის თაოსნობითაც დაარსდა აქ განყოფილება.

აპერაციები დღეს-დღეობით განყოფილებაში საკმარისია და მომავალში უფრო გაძლიერდება. განყოფილების უფროსი ვ. ფიჩხაძე გულით ეკიდება საქმეს და წესიერად ასრულებს თავის მოვალეობას.

ვ. გუთნურისპირელი.

## ეპ. მორიონდოს მოგზაურობა.

ეპისკოპოსი მორიონდო ძველი ტფ. საეპისკოპოზო კათედრის მოსაყდრემ დღიდან ტფილისში ჩამოსვლისა განიზრახა გამორკვევა ქართველ კათოლიკეთა ტიპიკონის. მას ჰქონდა ბრძანება მიღებული რომის წმ. მამისაგან, რათა ყველა ქართველი კათოლიკენი, როგორც ლათინურ ისე სომხურ ტიპიკონზე მყოფნი გამოეცხადებინა თვის ქვეშევრდომებად. ამისთვის გაემგზავრა ახალციხის მაზრაში. მათ უსამღვდელოებასთან ერთად გაემგზავრენ ტფილისიდან საგანგებო მატარებლით პატრი პეტრე მაგნორი და ქართველ კათოლიკეთა მოძღვარი მოინეთ პატრი ემმანუილ ვარდიძე.

მიუხედავად იმისა, რომ მატარებელი ბორჯომში შუაღამის 2 საათზე ჩავიდა ეპ. მორიონდოს დიდ ძალი ქართველი კათოლიკენი შეეგებნენ. და მიაცილეს ადგილობრივ მცხოვრებს ქართველ კათოლიკის ივ. ხითარაშვილის ბინაზე სადაც ღამე გაათია.

მეორე დღეს ეპისკოპოსმა დაათვალიერა ბორჯომის მინერალური წყლების წყაროები, ელექტრონის სადგური და ყველა საუკეთესო ადგილები ბორჯომისა და დიდად ნასიამოვნები დარჩა.

შუადღისას გაემგზავრა ახალციხეს. აქ მისვლისას ეპ. მორიონდოს აუარებელი ქართველი კათოლიკობა შეეგება. მთელი საჯირითო მოედანი ხალხით იყო სავსე და ყველა ეკლესიებში ზარების რეკა ასტყდა. აქ მის უსამღვდელოებას მოართვეს ახალი ეტლი ს. რაბათში წასასვლელად. ი. ნათლისმცემლის ეკლესიაში და მის გალავანში დიდ ძალ ხალხს მოეყარა თავი. აქ ეპ. მორიონდოს გრძნობით აღსავსე სიტყვით მიმართა ქრისტესია გვარამაძემ (ვინმე მესხი), რომელმაც დაასურათა აწმყო მომენტი ქართველ კათოლიკეთა ცხოვრებისა და უსურვა მის უსამღვდელოებას კეთილად დაბოლოება თვისი მისიისა და აღუთქვა ქართველ კათოლიკების მხრით მეცადინეობა განსახორციელებლად რომის აზრისა ქართველ კათოლიკეთა შესახებ.

მეორე დღეს ეპ. მორიონდო დილიდანვე შეუდგა ეროვნების გამორკვევას. მთელი ახალციხის კათოლიკობა სათითაოდ ინახულა, პატრებიანი ეკკლესიის დარბაზში. ყველა ქართველ კათოლიკებმა ერთხმად დაამტკიცეს ეპისკოპოსის წინაშე თვისი ეროვნება, რომ არიან ქართველნი. ეპისკოპოსმა ამის შემდეგ გამოუცხადა მათ, რომ იგინი დღეის ამიერ იქნებიან მის იურიდიქციის ქვეშ და არა სომეხთა იურიდიქციის ქვეშ. შემდეგ შეეხო ეპ. მორიონდო ტიპიკონის საკითხს. აქაც ყველამ ერთხმად გამოსთქვა სურვილი მიენიჭოთ მათ ნაცვლად სომხურისა ქართული ტიპიკონი, ეპისკოპოსს. მოეწონა ეს აზრი და აღუთქვა მალე განეხორციელებინა იგი; შემდეგ შესრულდა საზეიმო წირვა ადგილობრივ წმ. ი. ნათლისმცემლის ეკლესიაში, სადაც ხალხი ბლომად დაესწრო. წირვაზე წაკითხულ იქნა პაპის ... შემდეგ ეპ. მორიონდომ მიმართა სიტყვით. მიულოცა ქართველ კათოლიკებს განთავისუფლება ... ნისაგან და ... ახალ საერო ტიპიკონით. აქვე ჩადენ სოფლის დელეგაციები არალიდან, ივლიტიდან და მადლობა ახსენეს ეპისკოპოზს, რომ ერთხელ სამუდამოდ მოსპო არა საშიამოვნო ... ნება—ქართველობა.

მოვიდა აგრეთვე წარმომადგენელი სოფლისა ტურცხისა, კ. რტიკაშვილისა და ხულგუმისა, ავგუსტინე იგნიშვილის მეთაურობით. იმათაც გორც ქართველთ, სთხოვეს ეპისკოპოსს მიეღო იგინი თავისი უფლების ქვეშ. აქვე მიეგებნენ ახლო-მახლო სოფლის სამღვდელოება სამკაულებით და ... და მიუძღვნეს საძღვნობელი ,,ეკრე სადოს მაგნუს'' (ეხე არს მღვდელმთავარი დიდი). შემდეგ წირვისა ეპ. მორიონდომ დაათვალიერა ახალციხის ძველენი—ციხე და წმ. ივლიტის საყდრის ნაშთი ... ქიდი სურათი...

წამოსვლის დღეს პატრებიანთ ეკლესიაში კვლავ მოიყარეს თავი. აქ გაისმა სიტყვა მიხეილ ზაქ. ... მაშვილმა. გამოსთქვა სიხარული და ქართველ კათოლიკებისა, რომ ... სანეტაროდ დაბოლოვდა მათი გრძლივი ტანჯვა და ვაება, უსურვა მშვიდობა სა და ესრეთივე კეთილ ... ბოლოვება სხვა ადგილებში საქართველოს რესპუბლიკისა.

მადლობის შემდეგ მისმა უსამღვდელოესობამ წმ. მარის სახელით ... მთელი ერი, ქართველ კათოლიკეთა ... ორივენი სამესხეთოში. იმავე ... ეპ. მორიონდო გამოემართა ტფილისაკენ...

ქართველი კათოლიკე.

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: სპ. კე...

ექიმი
ისაკ იაკობის-ძე
მინოვიჩი
ღებულობს შინაგან და ბავშვთა სნ... ლებიან ავადმყოფთ.
ყოველ დღე დილის 10-12 ს. და სა... 5 7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (მწ... ბაზარი) ბინა ყოფილი ექ. ჭოლოშვილ...
№ 3208.

თვალების ავადმყოფობ...
ექიმი
მ. გოლშტეინი
სათვალეების შერჩევა. ავადმყოფ... მიღება დილის 8 ს დან 11 ს-მდე; ღამოს 2—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქ. № 3...

დაბრუნდა და გაანახლა ავადმყოფ... მიღება
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყ. ელექტრონით წამლობა.
ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს, ანასტას... ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31.
№ 3207.

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათლ...
მიხეილ გედევანიშვილის
დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 სა... არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 2... ვერაზე. ტელ. 9—71. 3102.

## მატარებელთა მიმოსვლა

ღვინობისთვის 10-დან 1920 წ.

### ტფილისიდან გადის.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისაკენ | 10 ს. | 58 წ. | დი... |
| | ბათომში ჩადის | 7 ს. | 27 წ. | დი... |
| № 9 | ფოთისაკენ | 5 ს. | 34 წ. | დი... |
| | ფოთში ჩადის | 10 ს. | 45 წ. | დი... |
| № 7 | ბათომისკენ | 10 ს. | 28 წ. | სა... |
| | ბათომში ჩადის | 5 ს. | 52 წ. | სა... |
| № 19 | ბორჯომისკენ | 3 ს. | 19 წ. | დ... |
| | ბორჯომში ჩადის | 11 ს. | 25 წ. | დ... |
| | სალოღლისკენ | 7 ს. | 20 წ. | დილ. |
| № 4 | სახაინისკენ | 8 ს. | დილ. | |
| | სანაინში ჩადის | 5. ს. | საღ. | |
| | კახეთისკენ | 8 ს. | 30 წ. | დი... |

### ტფილისისკენ მოდიან.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 10 | ფოთიდან | 3 ს. | 51 წ. | |
| | ტფილისში მოდის | 9 ს. | 16 წ. | დი... |
| № 4 | ბათომიდან | 4 ს. | 9 წ. | დ... |
| | ტფილისში მოდის | 1 ს. | 1 წ. | დ... |
| № 8 | ბათომიდან | 11 ს. | 37 წ. | ღა... |
| | ტფილისში მოდის | 7 ს. | 36 წ. | ღა... |
| № 20 | ბორჯომიდან | 12 ს. | 22 წ. | ღა... |
| | ტფილისში მოდის | 7 ს. | 47 წ. | დი... |
| | სალოღლოიდან | 12 ს. | 10 წ. | დილ. |
| № 4 | სანაინიდან | 7 ს. | 30 წ. | დი... |
| | ტფილისში მოდ. | 3 ს. | 20 წ. | დ... |
| | კახეთიდან თბილისში მოდ | 8 ს. | 20 წ. | |